ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„უსუფაშვილს ცალი თვალი ივანიშვილისკენ უჭირავს“



გვ.3

3 მაისიდან

მაია ბურჭულაძე

აბუსერიძეების საგა

ქართული დეტექტივი ტომი 12

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი



ოთხშაბათი, 3 მაისი, 2017

№103 (7338)

ფასი: 50 თეთრი

# „გიორგი მღებრიშვილის ბინაში შსს თვეში 7.000-მდე ლარს იხდის“



## თამარ ჟვანიამ და მისმა ორმა მოადგილემ 4 თვეში 103.600 ლარი აიღეს

გვ.2





„შსს-მ გვითხრა, რომ კამერების შესაძენად ფული არ ჰქონდათ. ამ დროს ისინი შს მინისტრისთვის ბინის ქირაში წელიწადში 70.000-მდე ლარს იხდიან. ეს თანხა კამერების შესაძენად სრულიად საკმარისი იყო, მაგრამ ამას შსს-მ მინისტრის ფუფუნებაში ცხოვრება არჩია“





## პარლამენტი და პროკურატურა ნანუაშვილის წინააღმდეგ

## „სახალხო დამცველი რელსებს ასცდა“

გვ.4



## მანანა ვაზაგაშვილი: „დაღუპულ იური ვაზაგაშვილს ებრძვიან“



გვ.5



## მამუკა კაციტაძე: „ოცნებამ“ საარჩევნო ბლოკები აკრძალა“

„პარლამენტს ქუთაისელებს ცხვირწინ ჩუმად აცლიან“

გვ.4



## ანზორ აბრალავა: „სააკაშვილი მტყუანია საქართველოსთან, მაგრამ ის მართალია ბოკერიასა და სხვა ყოფილი ნაციონალების წინაშე“

გვ.3

## „გაზის ტარიფი რეგიონებში უფრო მეტად გაიზრდება“

გვ.6

ISSN 1987-9385



## სამომხმარებლო კალათის 1/3-ზე მეტი იმპორტირებული პროდუქციაა



გვ.6

გვ.6



## რა პირობების დაკმაყოფილება მოუწევთ მძღოლებს ტექდათვალიერების აღდგენის პირველ ეტაპზე?

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# „გიორგი მღებრიშვილის ბინაში შსს თვეში 7.000-მდე ლარს იხდის“

## თამარ ჟვანიამ და მისმა ორმა მოადგილემ 4 თვეში 103.600 ლარი აიღეს

შორენა მარსაგიშვილი








**დღეს, 3 მაისს, კამპანია „არა ჩადებას" წევრები შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ პროკურატურაში საჩივარს შეიტანენ. ისინი გიორგი მღებრიშვილს შემოსავლების დამალვასა და თანხების არამიზნობრივ ხარჯვაში ადანაშაულებენ.**

საჩივრის შეტანამდე ერთი დღით ადრე კი კამპანიის წევრები შინაგან საქმეთა მინისტრს სახლში ესტუმრნენ, თუმცა დაცვამ დაუპატიჟებელი და არასასურველი სტუმრები საცხოვრებელი კომპლექსის ტერიტორიაზე არ შეუშვა.

– საცხოვრებელ კომპლექს „ემ კვადრატი იპოდრომზე“ ბევრი ჩემი ახლობელი ცხოვრობს. აქ ხშირად დავდივარ და არასდროს პრობლემა არ შემქმნია. გუშინ, 2 მაისს კი კომპლექსის ტერიტორიაზეც არ შეგვიშვეს. შესაბამისად, ჟურნალისტებმა ვერ მოახერხეს იმ სახლის გადაღება, სადაც შინაგან საქმეთა მინისტრი ცხოვრობს, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში სამართალდამცავთა რეფორმების ცენტრის ხელმძღვანელმა ზვიად კუპრავამ.

მისი თქმით, დაცვის თანამშრომლები წინასწარ იყვნენ მომზადებული არასასურველი სტუმრების მოსაგერიებლად.

– ამ საცხოვრებელი კომპლექსის მონახულებას რომ ვაპირებდით, ამის შესახებ წინა დღეს ტელეფონით ვისაუბრე. ეს სათანადო უწყებებმაც გაიგეს და მოემზადნენ ჩვენს დასახვედრად, – ამბობს კუპრავა.

მისი თქმით, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი ამ საცხოვრებელ კომპლექსში რამდენიმე თვის წინ გადმოვიდა. ამ ბინაში შსს ყოველთვიურად ქირის სახით 6.000 ლარზე მეტს იხდის.

– ამ კომპლექსში ბევრი ჩემი ახლობელი ცხოვრობს და მათგან გავიგე, რომ პენტჰაუსის 10-11 სართულზე საცხოვრებლად გადმოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრი, რომ სადარბაზოსთან, სადაც მინისტრი ცხოვრობს, დაცვისთვის სპეციალურად ჯიხურიც კი ააშენეს. მეზობლებს უთხრეს, რომ თითქოს სადარბაზოს დაცვისთვის კეთდებოდა ეს ჯიხური. სხვა დაცვის ჯიხურებისგან ის იმით გამოირჩევა, რომ აგურით არის ნაშენები და ტყვიაგაუმტარი მინები აქვს, – აღნიშნავს სამართალდამცავთა რეფორმების ცენტრის ხელმძღვანელი.

მისი განმარტებით, კამპანია „არა ჩადებას“ წევრები ამ ამბით შემთხვევით არ დაინტერესებულან.

– ისევე, როგორც წინა ხელისუფლებების დროს ახლაც აქტუალურია ნარკოტიკების ჩადება. ამ პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო იყო, კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებიც აღგვეჭურვა სამხრე-კამერებით, რაც ჩადების ფაქტებს მინიმუმამდე დაიყვანდა.

ამის პასუხად შსს-მ გვითხრა, რომ კამერების შესაძენად ფული არ ჰქონდათ. ამ დროს ისინი შს მინისტრისთვის ბინის ქირაში წელიწადში 70.000-მდე ლარს იხდიან. ეს თანხა კამერების შესაძენად სრულიად საკმარისი იყო, მაგრამ ამას შსს-მ მინისტრის ფუფუნებაში ცხოვრება არჩია, – ამბობს კუპრავა.

მისი თქმით, გიორგი მღებრიშვილს თბილისში სახლი რომ არ ჰქონოდა, შეიძლება, კიდევ არ ამოუღლოთ ხმა.

– დეკლარაციის მიხედვით, მღებრიშვილს აქვს 142 კვ ბინა ყაზბეგის ქუჩაზე და 2-სართულიანი სახლი, – ამბობს კუპრავა.

მისივე განმარტებით, მინისტრს სახლი ჰქონდა ფოთის ქუჩაზეც, რომელიც დეკლარაციაში აღარ ჩანს და პროკურატურაში სარჩელიც ამიტომ შედის.

– 2015 წლის ქონებრივ დეკლარაციაში მინისტრის სახელზეა რეგისტრირებული ფოთის ქუჩაზე მდებარე სახლი. 2016 წლის დეკლარაციაში ეს სახლი აღარ ჩანს, მაგრამ, არც ის არის მითითებული, სად წავიდა ეს სახლი. თუ ქონება გაყიდა, მაშინ დეკლარაციაში უნდა დაფიქსირებულიყო შემოსავალი.

2017 წლის დეკლარაციაში მინისტრს 75.000 დოლარის ნაღდი ფულის არსებობის შესახებ აქვს მითითებული, მაგრამ უწერია, რომ ეს ფული მიწის გაყიდვის შედეგად მიიღო. კი ბატონო, ეს გასაგებია, მაგრამ ფოთის ქუჩაზე მდებარე ბინა სად წავიდა? – კითხულობს ზვიად კუპრავა.

ამ კითხვაზე პასუხის პოვნას ის სხვებთან ერთად პროკურატურის დახმარებით შეეცდება, პროკურატურის პასუხამდე კი ასეთ ვარაუდს გამოთქვამს:

– მან გაყიდა ეს ბინა და ის შემოსავალი არ აღრიცხა, რის აღრიცხვასაც კანონი ავალდებულებს. ყველა სახელმწიფო მოხელე ვალდებულია, 4.000 ლარზე მეტი შემოსავალი აღრიცხოს დეკლარაციაში. არა მგონია, ფოთის ქუჩაზე 100 კვმ გარემონტებული ბინა 4.000 ლარად გაეყიდა.

კამპანია „არა ჩადებას“ წევრები მღებრიშვილს არამიზნობრივი ხარჯების გამოც უჩივლებენ პროკურატურაში. საუბარია მისთვის გადახდილ ბინის ქირაზე.

მართალია, პროკურატურაში სარჩელი შეაქვთ, მაგრამ გამოძიების დიდი იმედი არ აქვთ. ამის მიუხედავად, სჯერათ, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღეს.

– დარწმუნებული ვართ, მინისტრს არავინ დაკითხავს და არც ამ საქმეებს გამოიძიებენ, მაგრამ ეს ფაქტები რჩება ისტორიას. ნამდვილად ვიცი, რომ ხვალ ხელისუფლება შეიცვლება და ამ ფაქტების გამოძიება მოხდება, – იმედოვნებს სამართალდამცავთა რეფორმების ცენტრის ხელმძღვანელი.

* * *

მაშინ, როცა „არა ჩადებას“ წევრები შს მინისტრის საქმის შესწავლას ითხოვენ, მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წევრები ცესკოს თავმჯდომარის შემოსავლებით ითხოვენ დაინტერესებას.

როგორც „მედიატორში“ „ახალ თაობას“ განუცხადეს, მიმდინარე წლის 4 თვეში ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ 38.500 ლარი მიიღო.

– ფაქტობრივად, თვეში მისი შემოსავალი 10.000 ლარია. 4 თვეში ცესკოს თავმჯდომარემ მიიღო იმდენი, რამდენსაც 3 წელიწადში, უფრო ზუსტად კი 38 თვეში იღებს პატრულ-ინსპექტორი, 6 წელიწადში პედაგოგი ანუ 72 თვეში და პენსიონერის 226 თვის პენსია, რაც 18 წელზე მეტია, – აცხადებენ „მედიატორში“.

მათივე განმარტებით, 38.500 ლარიდან 16.500 ლარი პრემია-დანამატია.

როგორც „მედიატორში“ „ახალ თაობას“ უთხრეს, შემოსავალს არც თამარ ჟვანიას მოადგილეები უჩივიან.

– 4 თვეში მოადგილეებმა 32.900 და 32.200 ლარი აიღეს. შესაბამისად, 14.100 და 13. 800 ლარი პრემია-დანამატზე მოდის, – ამბობენ „მედიატორში“.

„მედიატორის“ კვლევის თანახმად, მარტო თამარ ჟვანიასა და მისი 2 მოადგილის

შენახვა ბიუჯეტს 4 თვეში 103.600 ლარი დაუჯდა.

# ფიქრია ჩიხრაძე: „პრეზიდენტმა ოპოზიციასა და არასამთავრობოებს კონკრეტული მიმართულებით ფორმატის შექმნა შესთავაზა“



პრეზიდენტისა და კამპანია „დაიცავი კონსტიტუციას“ შორის შეხვედრის დასრულების შემდეგ გიორგი მარგველაშვილის პოლიტიკურმა მრჩეველმა ფიქრია ჩიხრაძემ ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ ქვეყნის პირველმა პირმა შეკრებილებს კიდევ უფრო მეტი აქტიურობისკენ მოუწოდა, რომ საზოგადოება რაც შეიძლება მეტი ჩართულობით იყოს საკონსტიტუციო პროცესში წარმოდგენილი.

– პრეზიდენტი უკვე კარგა ხანია მაქსიმალურად უწყობს ხელს საზოგადოების აქტიურ ჩართულობას საკონსტიტუციო დისკუსიებსა და განხილვებში. იცით, რომ თავად პრეზიდენტიც მონაწილეობს ასეთ პროცესში. რაც შეეხება კონკრეტულ ინიციატივებს, რომლებიც აქვთ პოლიტიკურ პარტიებს ჯგუფს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, პრეზიდენტმა დააფიქსირა თავისი მოსაზრება, რომ ის მიესალმება მაქსიმალურ აქტივობას და მეტიც, მოუწოდა კიდევ უფრო მეტი აქტიურობისკენ, რომ საზოგადოება რაც შეიძლება მეტი ჩართულობით იყოს ამ პროცესში წარმოდგენილი და კონსტიტუცია, რომელიც ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონია, რომელთანაც თითოეული ჩვენგანი ჩვენივე ბედით ვართ დაკავშირებული, რომელზეც ჩვენი სახელმწიფოებრიობის პერსპექტივაა დაფუძვნებული, იყოს მაქსიმალურად გამართული, დაბალანსებული, – განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ.

მისი თქმით, პრეზიდენტის ადმინისტრაცია ერთიანი კამპანიის წარმოებას არ აპირებს, თუმცა დაინტერესებულ ჯგუფებს სხვადასხვა ფორმატს სთავაზობს. პრეზიდენტის მრჩეველი ამბობს, რომ კონსულტაციები მომავალშიც გაგრძელდება.

– ჩვენ არ ვაპირებთ რაიმე ერთიანი კამპანიის წარმოებას, ყველას აქვს თავისი გეგმა ამ მიმართულებით. თუმცა, ინტერესი ვისიც არის, რომ უკეთესი კონსტიტუცია მივიღოთ, მივიღოთ დაცული უფლებები, გარანტირებული სახელმწიფოებრივი უსაფრთხოებისა და სახელმწიფოებრიობის დაცვა, ბუნებრივია, ჩვენ ყოველთვის მზად ვიქნებით, ამ ინიციატივებს დავუჭიროთ მხარი.

პრეზიდენტმა შესთავაზა ისიც, რომ თუ კონკრეტული მიმართულებებით იქნება გარკვეული სურვილი, შეიქმნას ფორმატები, ამის განხილვისთვის მზად არის. შეხვედრა იყო ძალიან საინტერესო, იმიტომ რომ ბევრი მოსაზრება გამოითქვა. მიუხედავად იმისა, რომ აქ შეკრებილი იყო პოლიტიკური გემოვნებით, მსოფლმხედველობით განსხვავებული და, ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთთან დაპირისპირებაში მყოფი პოლიტიკური ძალები, ყველა თანხმდება იმაზე, რომ მომავალი კონსტიტუცია არის ფუნდამენტური საკითხი, რასთან დაკავშირებითაც საზოგადოების, პოლიტიკური სპექტრის, პრეზიდენტისა და სხვა ინსტიტუციების ერთობლივი მუშაობა მნიშვნელოვანია, – განაცხადა ჩიხრაძემ.

# ბაჩუკი ქარდავა: „ოცნებას“ საიდუმლო შეთქმულების პიარი ხელიდან გამოეცალა“



„ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ ლიდერი ბაჩუკი ქარდავა აცხადებს, რომ გუშინდელმა შეხვედრამ „ქართულ ოცნებას“ პიარი გამოაცალა, რადგან კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებზე დისკუსია აბსოლუტურად ღია რეჟიმში წარიმართა.

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის განცხადებით, შეხვედრაზე პოლიტიკურმა პარტიებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და თავად პრეზიდენტმა კონსტიტუციის ირგვლივ სტრატეგია და ხედვა გაცვალეს:

– „ქართულ ოცნებას“ საბოლოოდ გამოეცალა ხელიდან ის პიარი, რითაც საიდუმლო შეთქმულებებზე აპელირებდა საქართველოს პრეზიდენტთან მიმართებით. ეს იყო საჯარო, ღია შეხვედრა პრეზიდენტის რეზიდენციაში – ინსტიტუტთან, რომელიც პასუხისმგებელია კონსტიტუციის დაცვაზე, სრული, კონსოლიდირებული პოლიტიკური სპექტრისა და არასამთავრობო ორგანიზაციებით.

ჩვენ მას გავაგებინეთ ჩვენი პოზიცია, ტაქტიკა კონსტიტუციის ცვლილებასთან დაკავშირებით, პრეზიდენტმა გვითხრა თავისი შეხედულებები თუ როგორ იმოქმედებს ის კონსტიტუციის დასაცავად. ბუნებრივია, პოლიტიკური პარტიებისა და პრეზიდენტის ტაქტიკა ყველა შემთხვევაში ერთნაირი ვერ იქნება, მაგრამ ძალიან ბევრ საკითხში შეიძლება მოხდეს გადაკვეთა, – განაცხადა ბაჩუკი ქარდავამ.

მისი თქმით საქართველოში დემოკრატიისთვის ბრძოლა იწყება:

– ის, რომ ეს უკანასკნელი შეხვედრა არ იქნება, ამაში მინდა დაგარწმუნოთ და იმის გარანტიას იძლევა, რომ საქართველოში უკვე იწყება ფართომასშტაბიანი ბრძოლა ქართული დემოკრატიისა და სამართლებრივი კანონმდებლობის, კონსტიტუციის დასაცავად, – დასძენს ბაჩუკი ქარდავა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „უსუფაშვილს ცალი თვალი ივანიშვილისკენ უჭირავს“



## გია ხუხაშვილი: „გავწმინდოთ თბილისის მერია პარტიული და კლანური ინტერესებისგან“

შორენა მარსაგიშვილი

**რა შანსები აქვთ გაერთიანების შემთხვევაში უსუფაშვილსა და ალასანიას, დაბრუნდება თუ არა პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილთან, რატომ არ აქვს მნიშვნელობა სამთავრობო ცვლილებებს? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.**

***– პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი თავის პარტიას ქმნის. 1-ელ მაისს ის თავისუფალი დემოკრატების ყოფილ ლიდერ ირაკლი ალასანიას შეხვდა. მოხდება თუ არა მათი გაერთიანება და თუ გაერთიანდნენ, შეძლებენ თუ არა არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში რამის შეცვლას?.***

– ალასანიასა და უსუფაშვილს შორის შეხვედრა შედგა, მაგრამ ამას დიდ მნიშვნელობას ნუ მივანიჭებთ. ცოტა ხნის წინ ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ რაღაც პერიოდის მანძილზე ის არ აპირებს პოლიტიკაში რეინტეგრაციას.

თეორიულად მათი გაერთიანება შესაძლებელია, მაგრამ ამით პოლიტიკაში დიდი ცვლილებები არ მოხდება. ორივე მათგანი სუსტად გამოიყურება, როგორც ლიდერები. ეს საპარლამენტო არჩევნების დროსაც კარგად გამოჩნდა. ამასთან, მათი საარჩევნო შესაძლებლობები შეზღუდულია.

ალასანიასგან განსხვავებით, უსუფაშვილი პოლიტიკაში უკვე დაბრუნდა და ეს მისასალმებელი გადაწყვეტილებაა, რადგან ქართულ პოლიტიკაში ნამდვილი ავტორიტეტია. მეტსაც გეტყვით, ის სჭირდება ქართულ პოლიტიკას.



***– ქართულ პოლიტიკას რატომ სჭირდება უსუფაშვილი?***

– ქართულ პოლიტიკას მისი სახელმწიფოებრივი აზროვნება და მისი უნარები სჭირდება.

***– და ამის მიუხედავად, მას არჩევნებში შედეგის მიღება არ შეუძლია?***

– მას არ აქვს ლიდერის უნარები. მას არ შეუძლია საზოგადოების კონსოლიდაცია და ამომრჩეველთან ხიდის გადება. ამიტომაც არის მისი საარჩევნო პერსპექტივა შეზღუდული.

იმისთვის, რომ პოლიტიკურ წარმატებას მიაღწიოს, მას აუცილებლად სჭირდება ისეთი პოლიტიკური პარტნიორი, რომელიც ამ სისუსტეებს შეუვსებდა. ასეთად ირაკლი ალასანიას არ განვიხილავ. მას იგივე სისუსტეები აქვს, რაც დავით უსუფაშვილს.

***– ვინ არის ისეთი პოლიტიკოსი, ვისთან თანამშრომლობითაც უსუფაშვილი ამ სისუსტეებს დაფარავს?***

– ახლა ძნელია იმის თქმა, ვინ შეიძლება გახდეს უსუფაშვილის პოლიტიკური პარტნიორი, რომელიც ამ სისუსტეებს დაფარავს.

***– ბიძინა ივანიშვილზე რას იტყვით? გამორიცხავთ მათ თანამშრომლობას? ყოფილი პრემიერი უსუფაშვილის მიმართ ყოველთვის ამჟღავნებდა სიმპათიებს.***

– ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ კრიტიკული გამოსვლების მიუხედავად, უსუფაშვილს ცალი თვალი მაინც ივანიშვილისკენ უჭირავს. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ცდილობს რაღაც კაპიტალის დაგროვებას, რომ ყოფილი პრემიერის ორბიტაზე ამა თუ იმ ფორმით დაბრუნდეს.

***– ეს შესაძლებელია?***

– თეორიულად შესაძლებელია. მე კარგად ვიცნობ ბიძინა ივანიშვილს და ვიცი, რომ ის პარალელურ თამაშს არ დაიწყებს, მიუხედავად იმისა, რომ უსუფაშვილზე მასაც უჭირავს ცალი თვალი.

უსუფაშვილის არყოფნის პირობებში ივანიშვილს სერიოზული დისკომფორტი აქვს. უსუფაშვილი და კობახიძე ისე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა. მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილისთვის უსუფაშვილი გარკვეული კომფორტია, ის ყოფილ სპიკერს თავისი პირობებით მიიღებს და არა იმ პირობებით, რომელთაც მას უსუფაშვილი შესთავაზებს.

***– უსუფაშვილის დაბრუნების გარდა, აქტუალური თემაა მთავრობაში არსებული დაპირისპირება. არის საუბრები, რომ კალაძე და ქუმსიშვილი ერთმანეთს ძირავენ და პრემიერობისთვის ემზადებიან. თქვენ ამაზე რას ფიქრობთ, ველოდოთ ცვლილებებს?***

– მთავრობის შიგნით არსებულ ვითარებაზე ძალიან ბევრი ინფორმაცია მაქვს, მაგრამ ეს ყველაფერი ჩემი ინტერესის სფეროში არ შედის. ეს არც მოსახლეობის ინტერესებში არ უნდა შედიოდეს.

მინდა საზოგადოებას კიდევ ერთხელ ვუთხრა, რომ „ქართულ ოცნებაში“ ლიდერები საერთოდ არ არსებობენ. და ამ ფონზე პატარ-პატარა შიდა ინტრიგები ძალიან სასაცილოა. საკუთარი პოლიტიკური კაპიტალი არც ერთ მათგანს არ გააჩნია.

ამ ადამიანებს რაც უნდა ეზიზღებოდეთ ერთმანეთი და ერთმანეთისთვის კვანტის დადებას ცდილობდნენ, ყველა ერთი ადამიანის ავტორიტეტზეა ამხედრებული. ეს ერთი ადამიანი ბიძინა ივანიშვილია.

მის გარდა „ოცნებაში“ არავინ არაფერს წარმოადგენს. შესაბამისად, გუნდის შიგნით არსებული პრობლემები და დაპირისპირებები ძალიან სასაცილო და უინტერესოა.

***– საერთოდ არ აქვს იმას მნიშვნელობა, თუ ვინ გახდება პრემიერი?***

– ამით არაფერი შეიცვლება. მთავარი მაინც ივანიშვილი იქნება. აქტიურად მიდის საუბრები იმაზე, თუ ვინ იქნება „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატი. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება კანდიდატი, როცა ამ პარტიის ნებისმიერი კანდიდატი ერთი და იმავე რაოდენობის ხმებს აიღებს არჩევნებზე.

***– რატომ ერთნაირ ხმებს?***

– იმიტომ, რომ ამ ადამიანებს საკუთარი არაფერი გააჩნიათ და ივანიშვილის ხარჯზე უნდა მოიპოვონ ხმები. აქედან გამომდინარე, სულ არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება კანდიდატი – კალაძე, ნარმანია თუ ვიღაც კიდევ სხვა.

***– კალაძე სხვა მეოცნებეებთან შედარებით ცოტა უკეთ არ გამოიყურება?***

– კი, კალაძეს სხვებზე უკეთესად აცვია.

***– ჩაცმის გარდა, მას აქვს სახელი და თავისი კაპიტალი.***

– ფულადი კაპიტალი აქვს, მაგრამ პოლიტიკური – არა. ასე რომ, მას მარტო ფული არაფერს უშველის. იმ სიტუაციაში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, მის კაპიტალზე საუბარიც კი არასერიოზულია.

***– მერობის კანდიდატებზე ვსაუბრობთ და ოპოზიციის ნაწილი მიიჩნევს, რომ „ოცნების“ დასამარცხებლად თბილისის მერის პოსტზე ერთიანი კანდიდატი უნდა წარადგინონ. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე, აქვთ შანსები?***

– დღეს თბილისში ყველაზე მოთხოვნადი არაპარტიული პროექტია. თბილისელი ამომრჩეველი სკეპტიკურად არა მხოლოდ მოქმედ და ყოფილ ხელისუფლებას უყურებს, არამედ მთლიანად პოლიტიკურ ელიტას. ყველას მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებაა.

არჩევნებზე გაიმარჯვებდა ასეთი პროექტი – გავწმინდოთ თბილისის მერია პარტიული და კლანური ინტერესებისგან.

***– იდეას სთავაზობთ ოპოზიციას?***

– უფრო გამზადებულ სლოგანს.

***– თავად კანდიდატი როგორი უნდა იყოს? როგორ კანდიდატს მიიღებს ამომრჩეველი?***

– ისეთი ადამიანი უნდა იყოს, რომელიც პარტიულ რაღაცებში შემჩნეული არ არის. თბილისელი ამომრჩევლის თვალში დიდი ხანია, ყველა პარტია დისკრედიტებულია.

# ანზორ აბრალავა: „სააკაშვილი მტყუანია საქართველოსთან, მაგრამ ის მართალია ბოკერიასა და სხვა ყოფილი ნაციონალების წინაშე“

## „ზოგ პარტიას კონსტიტუცია კი არა, რევანშიზმი და რევოლუცია აღელვებს“

მარიამ მჭედლიშვილი

აქტუალურ საკითხებზე „ახალი თაობა“ ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას ესაუბრა.

***–„ქართული ოცნების“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ახალი კონსტიტუცია, რომლის პროექტი მომზადებულია, ხელს შეუწყობს ქვეყნის სტაბილურ განვითარებას.***

– შეიძლება ახალ კონსტიტუციაში ყველაფერი ყველას მოსაწონი არ იყოს, მაგრამ თუ მას დაამტკიცებენ, ეს ტრაგედია არ იქნება. ამ დოკუმენტით ვდგამთ მკვეთრ ნაბიჯს საპარლამენტო რესპუბლიკისკენ. ამას ბევრი პარტია მოითხოვდა. ნებისმიერი კონსტიტუცია გარკვეულ ჩარჩოში ზის და ის უნდა იყოს სტაბილიზაციის ხელშემწყობი.

***– არც ერთ პოლიტიკურ ძალას საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი არ მოსწონს..***

– ყველა პარტიაზე არ ვამბობ, მაგრამ ბევრი საბაბს ეძებს, რომ მყვირალა განცხადებები გააკეთოს. მაჟორიტარული სისტემა ოპოზიციის მოთხოვნით უქმდება. უმრავლესობა ამითაც უკმაყოფილოა. ზოგ პარტიას კონსტიტუცია კი არა, რევანშიზმი და რევოლუცია აღელვებს.

***– ოპოზიციამ დაიწყო კამპანია „დაიცავი კონსტიტუცია“.***

– კონსტიტუცია ნებისმიერმა მოქალაქემ ყოველთვის უნდა დაიცვას. ოპოზიციონერების ნაწილს გადატრიალება და არა კარგი კონსტიტუცია უნდა. ზოგიერთმა ოპოზიციონერმა რევოლუციონერის იერიც მიიღო და წვერიც მოუშვა. ნიშნს არავის ვუგებ, მაგრამ ასეთ ოპოზიციონერებს ხალხი არ გაჰყვება. მთავარი ის კი არაა, რას ლაპარაკობენ, იმასაც აქვს მნიშვნელობა, ვინ ლაპარაკობს.

***– ეს „ევროპულ საქართველოსაც“ ეხება? ეს პარტია საარჩევნო საკითხებზე პლებისციტის მოწყობას გეგმავს..***

– ვერანაირ პლებისციტს ეს ძალა ვერ ჩაატარებს. ეს ხალხი ბოკერიას მეთაურობით ნაცმოძრაობას გამოეყო. თავიანთი ჭკუით, ისინი სააკაშვილს გაემიჯნენ. ეს იგივეა, ჰიტლერს რომ გამიჯვნოდა პოლიტიკური ჯგუფი და დიდი პრეტენზიები ჰქონოდა. ეგენი სააკაშვილზე უარესები არიან.

სააკაშვილი მტყუანია საქართველოსთან, მაგრამ ბოკერიასა და მისთანებთან ის მართალია. ან რა ანტურაჟია სახელი „ევროპული საქართველო“? ევროპელი უნდა იყო ფასეულობებით, ცხოვრების წესით და არა დასახელებით. ასეთი სახელწოდება პოლიტიკური გოიმობაა იმ ხალხის მხრიდან, რომელიც წლების განმავლობაში ახდენდა დასავლური ღირებულებების დისკრედიტაციას.

***– ახალი პროექტით, იკრძალება ბლოკები, საარჩევნო ბარიერი კი 5%-იანია. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ არჩევნებში სულ „ოცნება“ და ნაციონალები გაიმარჯვებენ?***

– არა მგონია, ნაცმოძრაობას პოლიტიკური მომავალი ჰქონდეს. მით უმეტეს, მათ განაყოფებს. ჯანსაღ პოლიტიკურ ძალებს, კომპეტენტურ და წესიერ პოლიტიკოსებს კი აქამდეც დიდი დაბრკოლებები ჰქონდათ. დაახლოებით 20 წელიწადია, პოლიტიკაში მთავარი გახდა ფული, მერკანტილიზმი და პრაგმატიზმი. ბარიერებს პარტიებისა და პიროვნებებისათვის ღრმა ფესვები აქვს. ბლოკები იკრძალება, მაგრამ არაოფიციალურად კოალიციების ჩამოყალიბება და ამაზე შეთანხმება მაინც იქნება შესაძლებელი. 5%-იანი ბარიერი მაღალია, მაგრამ პარტიები უფრო დაბალ ზღურბლსაც ვერ გადალახავენ.

***– ეს ბარიერები ნაკლებად შეეხება ნაციონალურ მოძრაობას.***

– მათ დიდი ბერკეტები აქვთ, თუმცა ეს გადამწყვეტი არაა. ტელევიზიაც ემსახურებათ. ეს მათ ილუზიებს ზრდის. ქუჩაში რომ რაიმე დიდი უცნაურობა ნახო და ამაზე რეაგირება არ მოახდინო, ეს არ ნიშნავს, რომ ამას იწონებ. ასეა ნაცმოძრაობის საქმიანობაც. ნაციონალური მოძრაობა სინამდვილეში დაკავებულია საკუთარი თავის ანტიპიარით. აღარაფერს ვამბობ ყოფილ ნაციონალებზე „ევროპული საქართველოს“ წევრებზე. მათ რესპუბლიკური პარტიის ბედი ელოდებათ. რესპუბლიკელების მსგავსად, ყოფილან სხვა პარტიებიც, რომლებიც ყოველთვის ხურჯინივით ეკიდებოდნენ სხვას და ისე ხვდებოდნენ პარლამენტში.

***– ახალ ძალებს შანსი არ გააჩნიათ?***

– კომპეტენტური და წესიერი პოლიტიკოსების ნაწილმა წნეხს ვერ გაუძლო და პროცესებს ჩამოშორდა. ახლებიც გამოჩნდებიან. ნაციონალური მოძრაობა წარსულია.

***– რიგითი მოქალაქეებისთვის კონსტიტუცია მთავარი საზრუნავი არ არის. თქვენი შეფასებით, რა მთავარი გამოწვევების წინაშე დგანან ისინი?***

– ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა რეგიონსა და მის გარეთ არსებული დაძაბულობაა. ხალხს კონსტიტუციაზე უფრო მეტად, აწუხებს საკუთარი თავის გადარჩენა. თვითგადარჩენის მიზნით საგრძნობლად გაზრდილია მიგრაცია. იმასაც ვატყობ, რომ იცვლება მენტალიტეტი. ცოტა ხნის წინ დასავლეთ საქართველოში ვიყავი. იქ ვნახე აგრარული საქმიანობით დაკავებული საქმიანი ადამიანები. ისინი აცხადებენ, რომ არ უნდათ, დამოკიდებული იყვნენ სახელმწიფოზე. ყველაფერს ჩვენით გავაკეთებთ, ოღონდ ხელისუფლებამ ხელი არ შეგვიშალოსო. ეს მისასალმებელი ტენდენციაა და ნიშნავს მარჩენალზე დამოკიდებულების სიტუაციიდან გამოსვლას.



**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „სახალხო დამცველი რელსებს ასცდა“

## პარლამენტი და პროკურატურა ნანუაშვილის წინააღმდეგ

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოს სახალხო დამცველი და უმრავლესობა გუშინ, 2 მაისს, ერთმანეთს დაეტაკნენ. უჩა ნანუაშვილმა „ქართული ოცნება" ომბუდსმენის დისკრედიტაციაში დაადანაშაულა. საპასუხოდ „ოცნებამ" ნანუაშვილს სასამართლოს წინააღმდეგ დაწყების კამპანიაში მონაწილეობის გამო მოსდო შარი.**



არის ჩართული.

– რომ გაკეთდეს გადაცემა სათაურით – „როგორ ფლანგავს უჩა ნანუაშვილი ხალხის ფულს“, ნაჩვენები იქნება 140.000-ლარიანი მანქანა, რომელიც თქვენ იყიდეთ თქვენი მოადგილისთვის, შემდეგ – როგორ არღვევს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებებს და ნაჩვენები იქნება შრომითი დავა და სასამართლოს გადაწყვეტილება, როდესაც თქვენ დაარღვიეთ ადამიანის უფლებები სასამართლოში. ეს არის მიზანმიმართული დისკრედიტაცია, რასაც ეწევიან სასამართლოს მიმართ, – განაცხადა ზარდიაშვილმა.

დეპუტატის განცხადებამ ნანუაშვილი გააცხარა. მან ზარდიაშვილი დეზინფორმაციის ტირაჟირებაში დაადანაშაულა და წარსული გაუხსენა. ამ წარსულს ვანო ზარდიაშვილს ოპოზიციაც ხშირად უხსენებს ხოლმე.

– ტყუილს ამბობთ თქვენ. გაცილებით ნაკლები ღირებულების მანქაბელს მის წინააღმდეგ არსებული საჩივრებიც გაუხსენა:

– იმ პერიოდში არაერთი ადამიანი, მათ შორის თქვენი თანამშრომლები, მანდატურები გიჩიოდნენ და ამაზე სატელევიზიო რეპორტაჟებიც არსებობდა. ისინი ზეწოლაში გადანაშაულებდნენ, კერძოდ, თქვენ უკრძალავდით „ქართული ოცნების“ მხარდასაჭერ აქციაში მონაწილეობას.

ნანუაშვილი ისეთი გაცხარებული იყო, ზარდიაშვილის თანამეცხედრის სამუშაო ადგილიც გაიხსენა.

– თქვენი მეუღლე ასევე მუშაობს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსად, რომელსაც ევალება მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების მართვა. აქედან გამომდინარე, გასაგებია ჩემთვის, რატომ არის თქვენთვის მიუღებელი ჩვენი არაერთი რეკომენდაცია, რომელიც ეხება სწორედ კონკრეტული დარღვევების გამო მოსამართლეთათვის რებსა და მათ მეზობლებს შორის ჩხუბი მოხდა. დეპუტატ ირაკლი ზარქუას თქმით, ნანუაშვილმა არად ჩააგდო, რომ ტრანსგენდერების მეზობლების უფლებები დაირღვა.

მეოცნებე ზარქუას თქმით, ლგბტ თემის წარმომადგენლის უფლებები რომ დარღვეულიყო, სახალხო დამცველი ამაზე მკაცრ განცხადებას გააკეთებდა.

– თუმცა ამ შემთხვევაში, როდესაც წყნეთის ქუჩის მცხოვრებლების უფლებები დაირღვა, უჩა ნანუაშვილს არავითარი განცხადება არ გაუკეთებია, – აღნიშნა უმრავლესობის წევრმა.

საომრად მომართული ომბუდსმენი არ დაიბნა და კანონმდებელს ჩაუზუსტა:

– ჩვენი წარმომადგენელი იმყოფებოდა ადგილზე. გავესაუბრეთ ორივე მხარეს. როგორც ვიცით, 4 ადამიანია დაკავებული ადმინისტრაციული წესით და სასამართლო უნდა გაიმართოს. დაკავებული არიან ორივე მხარის წარმომადგენლები. ჩვენ ამ საკითხს ვსწავლობთ.





ნანუაშვილს იერიშების მოგერიება რამდენიმე ფრონტზე მოუხდა. დეპუტატების გარდა, მას პროკურატურის წარმომადგენლებიც აუმხედრდნენ.

თავისი გამოსვლით სახალხო დამცველმა დეპუტატები ისე გაამწარა, რომ მას ძვირადღირებული მანქანის შეძენა წამოაძახეს.

სიტყვიერი დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, რაც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვანო ზარდიაშვილი მოსამართლეების შეურაცხყოფის დაუშვებლობასთან დაკავშირებით უჩა ნანუაშვილის პოზიციით დაინტერესდა.

სანამ კითხვის ადრესატი პასუხს გასცემდა, დეპუტატმა აღნიშნა, რომ სასამართლო სისტემის მიზანმიმართული დისკრედიტაცია მიმდინარეობს, რაშიც სახალხო დამცველიც ნა იყო. წინა შეხვედრაზე თქვენ ამბობდით, თითქოს სუბიექტური მიდგომები ჰქონდა სახალხო დამცველს სასამართლო სისტემის მიმართ. საუბრობდით იმ ერთ-ერთ საქმეზე, რომელზეც დავა ჯერ არ დასრულებულა. ის გასაჩივრებულია მეორე ინსტანციაში.

თქვენი ბოლო გამოსვლა კიდევ ერთხელ მეტყველებს თქვენს სუბიექტურ დამოკიდებულებაზე სასამართლო სისტემის მიმართ. როგორც ჩემთვის ცნობილია, თქვენ 2012 წლამდე მუშაობდით თბილისის საქალაქო სასამართლოს მენეჯერად. სწორედ იმ წლებში, როდესაც ყველაზე მეტი ფაქტი არსებობდა უკანონო გადაწყვეტილებების, გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა იყო 0,01%, – მიმართა ზარდიაშვილს თავდასხმაზე გადასულმა სახალხო დამცველმა.

მეტი ეფექტისთვის კანონმდედისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას, – მიმართა ნანუაშვილმა დეპუტატს.

ზარდიაშვილი თავიდან ცოტა გაოცებული უყურებდა ომბუდსმენს, მერე იფიქრა, ამის უპასუხოდ დატოვება არ იქნებაო და ნანუაშვილი თავისი ფუნქციებიდან გამოსვლაში დაადანაშაულა.

– რაც არ უნდა კომიკური იყოს, თქვენ, სახალხო დამცველი, მახსენებთ ჩემს პირად ცხოვრებასა და ბიოგრაფიას. მე მელაპარაკებით, რომელიც ვიყავი სამოქალაქო პირი, მართლმსაჯულებაზე, პროცესებზე, გადაწყვეტილებებზე. ბატონო უჩა, რელსებს ასცდით, ხომ ხვდებით, – მიაკივლა დეპუტატმა სახალხო დამცველს.

მეორე ჩხუბი დეპუტატებთან ნანუაშვილს ტრანსგენდერების გამო მოუვიდა. წყნეთის ქუჩაზე ტრანსგენდეთოს. დაკავებული არიან ორივე მხარის წარმომადგენლები. ჩვენ ამ საკითხს ვსწავლობთ.

ამ პასუხმა ზარქუა არ დააკმაყოფილა. მისი თქმით, სხვა შემთხვევაში ნანუაშვილი სასამართლოს არ ელოდებოდა და მანამდე არისხებდა განგაშის ზარებს.

– სასამართლოს გამართვამდე აკეთებთ ხოლმე კომენტარებს სხვა შემთხვევებში და ახლა რატომ ელოდებით სასამართლოს გამართვას? იქ დაირღვა მოქალაქეების უფლებები. პირიქით რომ ყოფილიყო და ლგბტ თემის უფლებები დარღვეულიყო, დარწმუნებული ვარ, მკაცრ რეაგირებას მოახდენდით, – აღნიშნა ზარქუამ.

ნანუაშვილი არც ამ შემთხვევაში დაიბნა. მისი თქმით, სახალხო დამცველმა ყველას უფლება უნდა დაიცვას.

პარლამენტში ანგარიშის წარდგენისას ნანუაშვილმა ციანიდის საქმეზეც ისაუბრა. მისი თქმით, ამ საქმეზე გაუთქმელობის ხელწერილი უნდა გაუქმდეს. ამ მოთხოვნით ამ საქმეზე დაკავებული დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატები არაერთხელ გამოვიდნენ.

მათ სახალხო დამცველსაც მიმართეს.

– თანასწორუფლებიანობა აშკარად დარღვეულია ამ საქმეში. ვითხოვთ, გაუქმდეს ე.წ. გაუთქმელობის ხელწერილი და მეორე მხარესაც მიეცეს უფლება, ისაუბროს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბრალდების მხარე ყველა მეთოდის გამოყენებით საუბრობს, ყველა შესაძლებლობას იყენებს, რათა საქმის დეტალები გაახმაუროს. რა თქმა უნდა, ეს ბადებს ეჭვებს, ხომ არ არის გამიზნულად ზეწოლის მოხდენის მიზნით ეს პროცესი, – განაცხადა პარლამენტში გამოსვლისას ნანუაშვილმა.

პარლამენტიდან ომბუდსმენის გადაძახილს სასწრაფო წესით გამოეხმაურნენ პროკურატურაში.

საგამოძიებო უწყებაში მიიჩნევენ, რომ ციანიდის საქმესთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა ყველანაირ ზღვარს გადააბიჯა.

სახალხო დამცველი მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გოგაძემ შეაჩვენა. გოგაძე მიიჩნევს, რომ ომბუდსმენი საკუთარ უფლებამოსილებას სცდება.

– სამწუხაროდ, სახალხო დამცველმა ყველანაირ ზღვარს გადააბიჯა და ის მოგვევლინა მხარედ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კომენტარებს აკეთებს იმ ფონზე, როდესაც არანაირი ინფორმაცია არ აქვს გამოთხოვილი პროკურატურისგან, – განაცხადა მთავარი პროკურორის მოადგილემ ჟურნალისტებთან საუბარში.

---

ნათია ხურცილავა

# მამუკა კაციტაძე: „ოცნებამ“ საარჩევნო ბლოკები აკრძალა“

## „პარლამენტს ქუთაისელებს ცხვირწინ ჩუმად აცლიან“

**„ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საკონსტიტუციო ცვლილებებს აპროტესტებს.**

***– ბატონო მამუკა, ახალი მოძრაობა „დაიცავი კონსტიტუცია“ რა შედეგს მოიტანს, ფიქრობთ, რომ შესაძლებელია ხელისუფლებამ თქვენი მოთხოვნები გაითვალისწინოს, თუ ეს მაინც პოლიტიკური აქტია?***

– მხოლოდ პოლიტიკური აქტი ნამდვილად არ არის, თუმცა, რასაკვირველია, გარკვეული პოლიტიკური დატვირთვა ახლავს და არც ვმალავთ ამას. ამ ტიპისა და სხვა აქტივობები ერთ კონკრეტულ მიზანს ემსახურება.

***– რა არის თქვენი მიზანი?***

– „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი კონსტიტუციის პროექტი შექმნა. ამ ყველაფერს პოლიტიკური სპექტრის, არასამთავრობო სექტორის, საზოგადოების აბსოლუტურად ლეგიტიმური და ბუნებრივი პროტესტი მოჰყვა. კონსტიტუციას ყველა ერთად უნდა ქმნიდეს. კონსტიტუცია დიდი კონსენსუსისა და შეთანხმების პროდუქტი, მოქალაქეთა აზრთა გათვალისწინების დოკუმენტი უნდა იყოს. აბსოლუტურად განსხვავებული რამ მივიღეთ. მმართველი პარტიის მიერ შემოთავაზებულია კონსტიტუციის პროექტი, რომელიც ნულოვანი კონსენსუსის შედეგია. სწორედ ეს არის მთავარი პრობლემა და უკმაყოფილების მთავარი საგანი.



***– მთავარი რა არის, რასაც აპროტესტებთ?***

– საქართველოს მოქალაქეებს არ უნდა წაერთვათ პრეზიდენტის არჩევის უფლება, მიუხედავად იმისა, თუ რა უფლებამოსილებით იქნება საქართველოს პრეზიდენტი აღჭურვილი, საპარლამენტო რესპუბლიკის პრეზიდენტი იქნება თუ სხვა მოდელის. ჩვენი მოთხოვნაა, მოქალაქეებს პრეზიდენტის არჩევის უფლება შეუნარჩუნდეთ, მით უმეტეს, როდესაც გვეუბნებიან, რომ პრეზიდენტი ისევ არის ქვეყნის პირველი პირი, მთავარი წარმომდგენი საერთაშორისო ურთიერთობებში, პრეზიდენტი ისევ არის მთავარსარდალი და ა.შ. თუ ასეთი უფლებამოსილებები და სტატუსი კვლავ რჩება პრეზიდენტს, მაშინ რატომ უნდა წავართვათ ჩვენს მოქალაქეებს ეს უფლება?! სხვა საკითხია, რომ პრეზიდენტს უნდა ჩამოართვან გარკვეული უფლებამოსილებები. ვინ გადაწყვიტა ეს საკითხი, რატომ უნდა ჩამოართვან? ეს ყველაფერი ხომ არ არის 2010 წელს სააკაშვილის მიერ დაწყებული კამპანია პრეზიდენტის „გაკრეჭისა“ და მთელი ძალაუფლების პრემიერ-მინისტრისთვის გადაცემისა? მაშინ დაიწყო ეს პროცესი სააკაშვილმა ერთადერთი მარტივი მიზეზით, რომ ის ველარ იქნებოდა პრეზიდენტი, ამიტომ ყველაფერი პრემიერ-მინისტრზე გადაალაგა.

***– თქვენ ამბობთ, რომ „ქართული ოცნება“ ამ კურსს აგრძელებს?***

– „ქართულმა ოცნებამ“ ეს, როგორც მოცემულობა, ისე მიიღო და არავის აზრად არ მოსვლია, ემსჯელა საკითხზე, თუ რატომ გვინდა ქვეყანაში ასეთი საკონსტიტუციო მოწყობა!

***– ბატონო მამუკა, შემოთავაზებული საარჩევნო სისტემა თქვენთვის მისაღებია?***

– როგორც გამოჩნდა, ამ საკითხებთან დაკავშირებით კიდევ უფრო დიდი სიურპრიზები გველოდა. „ქართულმა ოცნებამ“ გვითხრა, რომ პოლიტიკურ პარტიებს ერთმანეთთან თანამშრომლობა გეკრძალებათ. წინასაარჩევნოდ პარტიები ბლოკებს ველარ შევქმნით, ერთად ველარ გავალთ არჩევნებზე. როგორც ჩანს, ეს შეიძლება ხელისუფლებისთვის საშიში აღმოჩნდეს, ისევე, როგორც ყველა წინა ხელისუფლება საარჩევნო ბლოკებმა შეცვალეს, „ქართულმა ოცნებამ“ დაინახა, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება შეიქმნას ბლოკი, რომელიც მასაც შეცვლის, ამიტომ არც მეტი, არც ნაკლები, მმართველმა პარტიამ ბლოკები აკრძალა, გათითოკაცებულ, ცალ-ცალკე დარჩენილ პარტიებს კი საარჩევნო ბარიერიც არ შეუმცირა. მაღალი ბარიერის პირობებში, ცხადია, ბევრი ხმა დაიკარგება და ყველა აუთვისებელი მანდატი პირველ ადგილზე გასულ პარტიას მიაქვს. ეს არის ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული წინადადებების გვირგვინი. ეს ცვლილებები, რაზეც ვისაუბრე, თუ შევა კონსტიტუციაში, ნიშნავს, რომ საქართველოში პოლიტიკა მკვდარია. ის დემაგოგიური განცხადება, რომ ეს ყველაფერი პარტიების გაძლიერებისთვის გაკეთდა, ამიხსნან ჭაბუკმა პოლიტიკოსებმა, რანაირად აძლიერებენ ამ მეთოდებით პარტიებს. საკუთარ სიაში ჩაწერილ ერთკაციან პარტიებს პარლამენტში ფრაქციები რომ შეუქმნეს, მაინტერესებს, როგორ ხდება მათი გაძლიერება ამ კანონმდებლობისა და კონსტიტუციის შესაბამისად?!

ასევე მიუღებელია სახალხო დამცველის არჩევითობის ის ვარიანტი, რომელიც არის შემოთავაზებული. რატომ არ უნდა ჰქონდეს მეორე ვადით კენჭისყრის უფლება ომბუდსმენს? არადა, ეს ადამიანი არ არის შემჩნეული აგრესიულ

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# მანანა ვაზაგაშვილი: „დაღუპულ იური ვაზაგაშვილს ებრძვიან“



გულიკო ბალაძე

**– 11 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დღევანდელი იუსტიციის სახლის ადგილზე ორი უდანაშაულო ბიჭი დახვრიტეს, – განაცხადა იური ვაზაგაშვილის დამ, მანანა ვაზაგაშვილმა, ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის ადგილზე. ეს საქმე წლების განმავლობაში „კორტების სპეცოპერაციის“ სახელწოდებით იყო ცნობილი, რომელშიც მთავარი მოქმედი პირები პოლიციის მაღალჩინოსნები და მათი ბრძანების შემსრულებლები იყვნენ, რაც სასამართლო პროცესებზეც დასტურდება.**

ყოფილი კორტების ტერიტორიაზე, ახლანდელ იუსტიციის სახლთან აღმართულ მემორიალთან კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ ვაზაგაშვილების ახლობლები, საზოგადოების წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, 2012 წელს, იური ვაზაგაშვილის ინიციატივით, სააკაშვილის რეჟიმის პირობებში ქუჩაში ჩაცხრილული ბიჭების პატივსაცემად, მემორიალი დაიდგა. მემორიალი მიეძღვნა 2004-2013 წლებში ნაცრეჟიმის მიერ დახოცილთა ხსოვნას.

ამ ადგილას 2006 წლის 2 მაისს ხელისუფლების წარმომადგენლებმა დახოცეს 22 წლის ზურაბ ვაზაგაშვილი და 26 წლის ალექსანდრე ხუბულოვი.

ზურა ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეზე სასამართლო პროცესები დღემდე მიმდინარეობს, რომლის გამოძიებას, ფაქტობრივად, იური ვაზაგაშვილის სიცოცხლე შეეწირა. ის შვილის საფლავზე ააფეთქეს.

სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლთა მემორიალთან იმყოფებოდა იური ვაზაგაშვილის და მანანა ვაზაგაშვილი:

– 11 წლის წინ ამ ადგილზე ორი ახალგაზრდა პოლიციელებმა ჩაცხრილეს. ცხოვრებაში არ დამავიწყდება ეს დღე და 20 იანვარიც. ამ საბედისწერო ადგილზე ორი უდანაშაულო ბიჭი სიცოცხლეს გამოასალმეს. ეს ბიჭები იყვნენ წინა ხელისუფლების პოლიტიკის მსხვერპლნი. იური 9 წელი იბრძოდა, სულ ამბობდა, რომ ჩასაფრება, განზრახ მკვლელობა და ირაკლი ფირცხალავას პირადი დაინტერესება იყო. ინტერესის გამო ის ჩაუსაფრდა ხუბულოვს და ამას შეეწირა ჩემი ძმისშვილი ზურაც. რასაც იური აცხადებდა (იური ტყუილად არაფერს ამბობდა), ის დაადასტურეს სასამართლო პროცესზე, რომ იყო პირადი დაინტერესება და უნდა დასრულებულიყო მსხვერპლით. დასრულდა კიდევაც.

***– ქალბატონო მანანა, სასამართლო პროცესები რა ეტაპზეა?***

– სასამართლო პროცესები მიმდინარეობს სააპელაციო სასამართლოში. მათ პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოუტანა განაჩენი, 12 წელი მიუსაჯა და უწოდა სისხლიანი სპეცოპერაცია. დღესაც მიმდინარეობს ჩვენზე ზეწოლა სასამართლო პროცესზე.

***– რა სახით?***

– მკვლელების ახლობლები (ცააძისა და ფირცხალავას) აქეთ გვეძახიან მკვლელებს, ახდენენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას. პირდაპირ სასამართლო პროცესზე წამოვიდნენ დასარტყმელად. საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში ერთ თვეში დასრულდება. იმედი მაქვს, სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს ძალაში დატოვებს.

სად იყვნენ 9 წლის განმავლობაში? ახლა, როცა იური ვაზაგაშვილიც მოიშორეს და ცოცხალი აღარ არის (ეს ორი საქმე ერთმანეთთან არის დაკავშირებული), გაახსენდათ, თითქოს ზურა ვაზაგაშვილი მკვლელი და ყაჩაღია. არასწორ ვერსიას ავრცელებენ. 9 წლის განმავლობაში მიტინგზე, პრესკონფერენციებზე იური ვაზაგაშვილი პლაკატებით გამოდიოდა და აცხადებდა, რომ ზურა ვაზაგაშვილის მკვლელები არიან ფირცხალავა, ცააძე, მერაბიშვილი. მაშინ რატომ არ აკეთებდნენ კომენტარს? მაშინ რატომ არ ამბობდნენ, ზურა ვაზაგაშვილი მკვლელიაო? იმიტომ, რომ ეს არის აბსურდული ტყუილები და ცილისწამება. ცააძეები დაღუპულ იური ვაზაგაშვილს ებრძვიან, ყველა პროცესზე გვაძახებენ, ამოვთხრით იური ვაზაგაშვილსო. ცააძემ დაიძახა, მაინც ამოვთხრითო.

***– აფეთქება საკმარისი არ იყო?***

– ცააძის და ამბობს, მაინც ამოვთხრითო. ეს ხალხია. ვინ დაიჯერებს, რომ მისმა ძმამ არ მოკლა? თვითონაც ავტომატი რომ მისცე, ყველას ჩაცხრილავს. ასეთი ხალხია ცააძეები და კიდევ მაგისთანები.

***– ერთი ასეთი კითხვა რომ დავსვათ – ძალიან მცირე პროცენტიც არ არის იმისა, რომ ეს ადამიანები რამენაირად მართლები შეიძლება იყვნენ?***

– იცით, რამდენი მოწმე დაიკითხა პირველი ინსტანციის სასამართლოში? აბსოლუტურად ყველა მოწმემ დაადასტურა, რომ ეს იყო განზრახ მკვლელობა, ჩასაფრება, რომ მანქანიდან არანაირი სროლა არ ყოფილა და იყო ფირცხალავას პირადი დაინტერესება ხუბულოვის მიმართ და მოიყვანა კიდევაც სისრულეში. ეჭვი არ მეპარება, რომ ისინი მკვლელები არიან. დღეს იური ვაზაგაშვილი ცოცხალი რომ ყოფილიყო, საბრალდებო სკამზე სამი პირი კი არა, ბევრი იქნებოდა. ამიტომაც მოიშორეს იური.

* * *

ლაშა ჩხარტიშვილმა გამოძიებისაგან ვაზაგაშვილების მკვლელობის შემკვეთის გამოვლენა მოითხოვა.

**ლაშა ჩხარტიშვილი:**

– სამწუხაროდ, ზურას მკვლელობიდან 11 წელია გასული და ამ საქმეზე უმრავლესობა დაუსჯელია, მით უმეტეს – ორგანიზატორი. არნახული ტრაგედიაა, რომელიც იური ვაზაგაშვილთან დაკავშირებით მოხდა და რომლის დამკვეთიც ჯერ კიდევ არ არის გამოვლენილი. მე, პირადად, მჯერა, რომ ეს ხელისუფლება მათ მფარველობს.

***– შემკვეთი ვინ არის?***

– ეს უნდა თქვას გამოძიებამ. იყო ჩასაფრება, შესაბამისად, ჰყავდა ორგანიზატორი მაღალჩინოსანი. ამ ეტაპზე გამოძიება შეჩერდა.

შვილის მკვლელობას იური ვაზაგაშვილი შეეწირა. მის მკვლელობასაც აშკარად დამკვეთი ჰყავდა. ყველამ ვიცით, სოსანაშვილი მარტო არ იქნებოდა. სად არის დამკვეთის კვალი? როგორ შეიძლება, საქართველო იყოს ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც ამდენ ადამიანს ხოცავდნენ და არცერთი საქმე არ იყოს მიყვანილი ბოლომდე? ზურა, იური, გირგვლიანი, რობაქიძე და ბევრი სხვა. რამდენი ჩამოვთვალო? არცერთი საქმე ბოლომდე მიყვანილი არ არის. სამწუხაროდ, მაგალითად, გია კრიალაშვილის მკვლელზე გვაქვს ინფორმაცია, რომ კვლავ სახელმწიფო სამსახურშია, უშიშროების სამსახურის უფროსია. რა ჰქვია ამას? ამას აცხადებს ოთანაძე, რომელიც კრიალაშვილთან ერთად თითქმის მოკლეს – 8 ტყვია დაახალეს. ის ამბობს, რომ მათ მკვლელობაში ამოიცნო ვინმე ხარაზიშვილი. ეს მისი სიტყვებია. ჩვენ რა უფლება გვაქვს, არ ვენდოთ?! გამოძიება დაეწყოთ და კი არ უნდა დაეწინაურებინათ, უფლებამოსილება უნდა შეეჩერებინათ დალაქიშვილსა და სხვა პირებზე, რომლებიც იყვნენ ამ საქმეებში გარეული და დღესაც სახელმწიფო სამსახურში მუშაობენ. სამწუხაროდ. დალაქიშვილის მოხსნას ძლივს მიაღწიეს, მაგრამ სამარღანიშვილი ისევ არის თბილისის პოლიციის უფროსი. სამწუხაროდ, ამ ქვეყანაში ძნელია საუბარი ზოგადად სამართლიანობაზე. ამ ვითარებაში არცერთი ადამიანი დაცული არ არის. როდესაც დამნაშავე პოლიციელები ისევ სახელმწიფო სამსახურში არიან, ეს ნიშნავს, რომ ხვალ ჩვენი სხვა მოქალაქეები შეიძლება აღმოჩნდნენ ზურასა და იურის ადგილას.

ზურაბ ვაზაგაშვილის საქმის გამო სააკაშვილმა აქ არსებული კორტები ბულდოზერებით გადაასწორა და იუსტიციის სახლი ააგებინა. დაანგრიეს ის კედელიც, რომელიც ზურა ვაზაგაშვილის მკვლელობის მოწმე იყო.

სააკაშვილის ხელისუფლების მცდელობა, ყოველგვარი კვალი წაეშალა, უშედეგო აღმოჩნდა. ყოფილ კორტებთან წელიწადში, სულ მცირე, ორჯერ სამოქალაქო საზოგადოება ახლაც იკრიბება.

# მამუკა კაციტაძე: „ოცნებამ“ საარჩევნო ბლოკები აკრძალა“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ქმედებებში. იმდენი მოახერხეს, რომ შემოთავაზებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს ნანუაშვილმაც წინააღმდეგ მისცა ხმა.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ჩვენს პროტესტს იწვევს, პარლამენტის ადგილმდებარეობას უკავშირდება. წესდებაში თუ არ გაქვს მისამართი ჩაწერილი, ვერაფერს ვერ დაარეგისტრირებ საქართველოს კანონდებლობით. შეიძლება, მითითებული არ იყოს პარლამენტის ადგილსამყოფელი?! ქუთაისში სიარული არ უნდათ დეპუტატებს, როგორც ჩანს, დიდ დისკომფორტს უქმნით, ამიტომ კონსტიტუციიდან მისამართი ამოიღეს, რაც მათ აძლევთ სრულ უფლებას, რომ სასესიო სხდომები თბილისში დანიშნონ. ჯერ კომიტეტების, ბიუროების ჩატარება დაიწყეს თბილისში, ფაქტობრივად, განთავსდნენ და ახლა ადგილსამყოფელის საერთოდ ამოღებას გვთავაზობენ. ამ ჩანაწერის ამოღების შემდეგაც არაფერი ხელს არ შეუშლით, რომ მთლიანად გადმოვიდეს პარლამენტი თბილისში. ქუთაისელებს ჩუმად ცხვირწინ აცლიან პარლამენტს. სიმართლე გითხრათ, თავის დროზე მე არ ვიყავი პარლამენტში ქუთაისში გადატანის მომხრე, რადგან ეს აბსოლუტურად მოუმზადებელი და სპონტანური გადაწყვეტილება იყო.

***– დღეს რატომ ხართ მომხრე, რომ დარჩეს?***

– იმიტომ, რომ დიდი თანხები დაიხარჯა, იმიტომ, რომ ქუთაისელებმა საკუთარი საქმიანობა დააკავშირეს პარლამენტთან, ზოგიერთმა სასტუმროების ბიზნესი დაიწყო, ზოგიერთმა სხვა ტიპის ობიექტები შექმნა, რომელიც კავშირშია ხალხმრავლობასთან. მიღებული გადაწყვეტილებით კი ეს ყველაფერი მოკვდება. ამიტომ ვარ წინააღმდეგი, რომ პარლამენტი თბილისში გადმოვიდეს.

***– მთავარი პრობლემა მაინც რა არის?***

– მთავარი პრობლემა არის ის, რომ მთელი ეს ცვლილებები შემოთავაზებულია ნულოვანი კონსენსუსის პირობებში. ამიტომ ჩვენი მიზანია, რომ ვინაიდან ხელისუფლება თავისით არ შეცვლის თავის მიერ შემუშავებულ პროექტს, დავუპირისპიროთ ერთი – ქართველი საზოგადოების ნება და მეორე – საერთაშორისო თანამეგობრობის გაფრთხილება.

***– ეს იქნება ოპოზიციის ზეწოლა ხელისუფლებაზე?***

– დიახ. ჩვენი აქტივობები მიზნად ისახავს ობიექტური ინფორმაციის მიტანას საქართველოს მოქალაქეებთან, წამოვიღოთ მათგან ინფორმაცია, თუ რას ფიქრობენ ისინი ამ ცვლილებებზე და ეს გავაგონოთ ხელისუფლებას.

***– ბატონო მამუკა, პარლამენტის თავმჯდომარემ დესტრუქციულ ქმედებებზე გააკეთა განცხადება, რომელსაც ის ელოდება პრეზიდენტისგან, მასთან შეთანხმებული პარტიებისგან.***

– აბსოლუტურად გასაგებია, რატომ აქვს ასეთი აზრი პარლამენტის თავმჯდომარეს, რომ ეს ქმედებები პრეზიდენტის მიერ არის დაგეგმილი და სწორედ ის უკვეთს პარტიებს სამოქმედო ნაბიჯებს, რადგან მას სხვანაირად პოლიტიკაში ყოფნა არ შეუძლია, ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება, სხვანაირად იმოქმედო პოლიტიკაში, ისე, რომ დაკვეთა ვერ მიიღო.

რაც შეეხება დესტრუქციულ ქმედებებს, მე ჩემი ცხოვრების განმავლობაში დესტრუქციულად არ მიმოქმედია, ხოლო პროტესტის გამოთქმა ჩემი კონსტიტუციური უფლებაა, რომლის გამოხატვაც შემიძლია ნებისმიერი ფორმით კონსტიტუციის ფარგლებში. მწვავე აზრის გამოთქმა არ არის დესტრუქციული ქმედება. უნდა გესმოდეს, საქართველოს ისტორიაში რა ტიპის პოლიტიკური მოქმედებები იყო, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, სამტრედიაში რკინიგზის გადაკეტვით დაწყებული და, თუ არ იცის, თავისი მოადგილე მოუყვება, როგორ ხდებოდა ეს. იმის მერე რა პროცესებიც განვითარდა ქვეყანაში რუსთაველზე თუ რუსთაველის მიღმა, ეს იყო ჩვენი კონსტიტუციური უფლება.


გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83


# კახა ბექაური კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სრული შემადგენლობის უმრავლესობით 2020 წლის 24 იანვრამდე კომისიის თავმჯდომარედ კახა ბექაური აირჩია.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრს ექვსი წლის ვადით ირჩევს საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. კომისიის თავმჯდომარეს კი ირჩევს თავად კომისია, ასევე, სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით, სამი წლის ვადით. კომისიონერის თავმჯდომარედ არჩევა მხოლოდ ერთი ვადით შეიძლება. თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობის უფლება კომისიის ყველა წევრს აქვს.

კახა ბექაური კანდიდატურა კომისიის თავმჯდომარის არჩევნებზე კომისიის დებულების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, კომისიის წევრებმა ერთობლივად წარადგინეს.

კომისიის თავმჯდომარის არჩევნები „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის არჩევნების დანიშვნის შესახებ“ კომისიის 2017 წლის 21 აპრილის №261/22 გადაწყვეტილებით დაინიშნა. ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრა თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მსურველი წევრის (წევრების) ხმის დამთვლელ კომისიაში განაცხადების წარდგენის ვადა.

ბოლო სამი წლის განმავლობაში კომისიის თავმჯდომარის პოზიცია ვახტანგ აბაშიძეს ეკავა. ის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრად ექვსი წლის ვადით საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 16 აპრილს აირჩია. ვახტანგ აბაშიძე კომისიის წევრის რანგში უფლებამოსილებას 2020 წლის 16 აპრილამდე გააგრძელებს.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია – დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო შედგება ხუთი წევრისგან. კომისიას აკომპლექტებს საქართველოს ხელისუფლების სამი შტო, საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით საქართველოს პარლამენტს კომისიის წევრის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე წარუდგენს სამ კანდიდატურას, რომელთაგან საქართველოს პარლამენტი ერთ კანდიდატს ექვსი წლის ვადით ირჩევს კომისიის წევრის თანამდებობაზე.

# „გაზის ტარიფი რეგიონებში უფრო მეტად გაიზრდება“

ალბათობა იმისა, რომ საქართველოში ბუნებრივი აირი გაძვირდეს, ძალიან დიდია.

საამისოდ თითქმის ყველა წინაპირობა არსებობს: „სემეკი“ უკვე განიხილავს ქვეყნის ორი უმსხვილესი გაზგამანაწილებლის – „სოკარისა“ და „ყაზტრანსგაზის“ მოთხოვნებს – ორივე კომპანია მარეგულირებელი კომისიისგან ტარიფის შეცვლას ითხოვს. ტარიფის გადახედვა „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიასაც“ სურს, რომელიც ბუნებრივ აირს კერძო კომპანიებს აწვდის და მისი მიწოდების ტარიფის გაძვირება კერძო კომპანიების ტარიფზეც აისახება. ტარიფის გაზრდაზე მედიასთან ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემაც ისაუბრა, ენერგეტიკის დარგის სპეციალისტებიც მიიჩნევენ, რომ ეს გარდაუვალია.

„ბიზნესპრესნიუსი“ საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტს, პარლამენტარ რეზო არველაძეს დაუკავშირდა და ამ საკითხის შეფასება სთხოვა:

– 2005 წლის შემდეგ ენერგეტიკის დარგში მსხვილი ინვესტიციები განხორციელდა, ცხადია, ეს ხარჯები ტარიფში უნდა აისახოს. როდესაც კომპანია ფულს ხარჯავს, უკან ხომ უნდა დაიბრუნოს და ეს ტარიფის მეშვეობით ხდება. მით უმეტეს, 2005 წლის შემდეგ დოლარისა და ლარის



შეფარდებაც ძალიან შეიცვალა, თუმცა 2005-2014 წლებში ლარის კურსი სტაბილური იყო. ვფიქრობ, რომ ამ კომპანიებს „სემეკში“ განაცხადის შეტანა ცოტა კიდეც დააგვიანდათ, ალბათ ელოდნენ, რომ ლარი ისევ ძველ ნიშნულს დაუბრუნდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ახლა რა სიტუაცია გვაქვს? – დავუშვათ, გამანაწილებელი კომპანია ყიდულობს გაზს უცხოეთიდან და იხდის 100 დოლარს, თუ ადრე ტარიფში 170 ლარი ჰქონდა ჩასმული, ახლა 240 ლარი უნდა ჩასვას, რის გამოც ძალიან ზარალდება. ამიტომ ეს ორი ფაქტორი აუცილებლად იმოქმედებს გაზის ტარიფზე. იმედია, მარეგულირებელი კომისია ყველა კომპონენტს საფუძვლიანად განიხილავს და ოპტიმალურ გადაწყვეტილებას მიიღებს.

– გამოდის, რომ გაზგამანაწილებელმა კომპანიებმა იძულებით გადადგეს ეს ნაბიჯი?

– დიახ, ეს მათ შექმნილმა სიტუაციამ უკარნახა. სხვაგვარად ეს კომპანიები გაკოტრდებიან და ველარ შეისყიდიან ბუნებრივ აირს უცხოეთიდან. წესით, გაწეულ ხარჯს ტარიფი უნდა ანაზღაურებდეს, რასაც ისინი ვერ ახერხებენ, ამიტომ შევიდნენ სემეკში განაცხადით, რომ მარეგულირებელმა ტარიფებს გადახედოს. „სემეკს“ 150 დღე აქვს მიცემული, რომ გადაწყვეტილება მიიღოს. სავარაუდოდ, მარეგულირებელი კომისია ივლისში მიიღებს გადაწყვეტილებას, მანამდე კი ღია და საჯარო განხილვები იქნება. „სემეკის“ გადაწყვეტილება ალბათ 1 ივლისიდან შევა ძალაში, თუმცა ტარიფი როდის შეიცვლება, ეს ჯერ მარეგულირებელმა კომისიამაც არ იცის.

– ბატონო რეზო, მოსახლეობა წელს ისედაც ჩიოდა, რომ 2015 წელთან შედარებით უფრო მეტი თანხის გადახდა უწევდა. ეს გაზის ხარისხით ხომ არ იყო გამოწვეული?

– ეს იმიტომ მოხდა, რომ ასეთი ცივი ზამთარი საქართველოში დიდი ხანია არ ყოფილა. ზოგიერთ ოჯახს გათბობა აპრილის ბოლომდე ჰქონდა ჩართული. თუმცა, ვისაც ეჭვი აქვს, თავისის ქვითრები უნდა წარადგინოს მარეგულირებელ კომისიაში და მოითხოვოს, რომ „სემეკმა“ მისი პრობლემა განიხილოს. რაც შეეხება ბუნებრივი აირის ხარისხს, მე გამიჭირდება ამ თემაზე მსჯელობა, რადგან გაზის ხარისხის შემოწმებას სპეციალური აპარატურა და ხელსაწყოები სჭირდება, რომ კალორიულობა დადგინდეს.

თუმცა რამდენიმე დღის წინ მარეგულირებელმა კომისიამ წარმოადგინა 2016 წლის ანგარიში, სადაც ნათქვამია, რომ გაზის კალორიულობა წელს 8.400-8.500 კილოკალორიაა 1 კუბ.მეტრზე ანუ დასაშვებზე უფრო მეტი, რადგან ნორმა დაახლოებით 7.400 კილოკალორიაა. თუ გაზის კალორიულობა დაბალია, რა თქმა უნდა, უფრო მეტი გაზი იხარჯება. ზოგი იმასაც ამტკიცებდა, რომ ბუნებრივ აირში ჰაერს ურევდნენ, რაც გამორიცხულია, რადგან ამას შეიძლება ავარიები და აფეთქებები მოჰყვეს.

ეს ჯერ კიდევ არავინ იცის, რადგან დასათვლელია რამდენი ინვესტიციაა ჩადებული ამ დარგში, ან რა კურსს ჩადებს მარეგულირებელი კომისია – 2,40-ს თუ 2,50-ს. კომისია ვერ გააკეთებს განცხადებას, ვიდრე ყველაფერს ბოლომდე არ მიიყვანს. ერთადერთი, რაც შეიძლება ვივარაუდო, ის არის, რომ ტარიფი თბილისში უფრო ნაკლებად გაიზრდება, ვიდრე რეგიონებში, რადგან იქ უფრო მეტი სამუშაო ჩატარდა და გაცილებით მეტი ინვესტიცია ჩაიდო. ბოლო წლებში ძალიან ბევრი სოფლის გაზიფიცირება მოხდა და ეს დანახარჯი აუცილებლად აისახება გაზის ტარიფზე.

– კახა კალაძის თქმით, თუკი ტარიფები გაიზრდება, არ არის გამორიცხული, მთავრობამ სუბსიდირების გადაწყვეტილება მიიღოს. ეს რა ფორმით შეიძლება განხორციელდეს?

– პირველ რიგში, სახელმწიფომ უნდა დაადგინოს, თუ ვის სჭირდება დახმარება. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი გაჭირვებულია, მაგრამ სუბსიდირების მასშტაბები იმის მიხედვით უნდა განისაზღვროს, თუ რა შესაძლებლობა აქვს სახელმწიფოს. საერთოდ, სუბსიდირების ორი გზა არსებობს: სოციალურად დაუცველ მომხმარებელს უფრო დაბალი ტარიფი უნდა დაუწესო, ხოლო დანარჩენებს – მაღალი, მეორე გზა სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფაა, მაგრამ ბიუჯეტშიც ხომ ჩვენი ფულია? გაჭირვებულ ადამიანებს აუცილებლად სჭირდებათ დახმარება, მთავარია, რამდენად ქმედით მექანიზმს შევიმუშავებთ.

რასაკვირველია, ეს არ უნდა იყოს საყოველთაო სუბსიდია. როცა პარლამენტის წევრს ხელფასი 2 ათასი ლარი აქვს, ხოლო პენსიონერს – 180, მთავრობამ პირველ რიგში ამ უკანასკნელის ინტერესები უნდა დაიცვას. ეს ძალიან მტკივნეული საკითხია, ამიტომ გადაწყვეტილების მიღებამდე მარეგულირებელი კომისია განხილვას დაიწყებს. ამ პროცესში ჩაერთვებიან სპეციალისტები, საზოგადოება, მედია და საბოლოო გადაწყვეტილება ყველამ ერთად უნდა მიიღოს.

# 2016 წელს 70 სავალუტო ჯიხური გაუქმდა




ეროვნული ბანკის წლიური ანგარიშის მიხედვით, გასულ წელს 70 ვალუტის გადამცვლელ პუნქტს რეგისტრაცია გაუუქმდა.

ანგარიშის თანახმად, საანგარიშო პერიოდში 111 ვალუტის გადამცვლელი პუნქტის, 13 მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და 9 გზავნილის განმახორციელებელი პირის ადგილზე ინსპექტირება განხორციელდა.

შედეგად, მათზე დაკისრებულმა საჯარიმო სანქციების ჯამურმა მოცულობამ 1.3 მილიონი ლარი შეადგინა.

– ადგილზე ინსპექტირებისას გამოვლინდა კანონმდებლობის სისტემატური დარღვევის შემთხვევები, ისეთები როგორებიცაა კლიენტისა და ბენეფიციარი მესაკუთრე პირების იდენტიფიკაცია-ვერსიფიკაციის და ინფორმაციის აღრიცხვა-შენახვის პროცესების არასათანადოდ მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებების საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის გადაუცემლობა, განხორციელება და რისკზე დამყარებული მიდგომის რეალიზების მიზნით განსაზღვრული ზომების შეუსრულებლობა და სხვა, – ნათქვამია ანგარიშში.

სავალუტო ჯიხურების თემას ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ მიმდინარე წლის მარტშიც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ 2017 წლის 1 იანვრიდან 11 მარტამდე 32 ჯიხური გაუქმდა.

# სამომხმარებლო კალათის 1/3-ზე მეტი იმპორტირებული პროდუქციაა

– სამომხმარებლო კალათის 1/3-ზე მეტი იმპორტირებული პროდუქციაა.

ამის შესახებ ეროვნული ბანკის 2016 წლის ანგარიშშია აღნიშნული.

ბანკის ოფიციალური მონაცემების თანახმად, 2015 წელს დაფიქსირებული აქციზური გადასახადების ზრდამ ალკოჰოლურ სასმელებზე, ელექტროენერგიის ტარიფის ზრდამ და გაცვლითი კურსის გაუფასურებამ სამომხმარებლო კალათის ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე (კერძოდ, საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე) ფასების მატებამ ინფლაციის მაჩვენებლის მკვეთრი ზრდა განაპირობა. შესაბამისად, უკვე 2016 წელს, ამ ეფექტის ამოწურვის შემდგომ წლიური ინფლაცია შემცირდა.

2016 წლის განმავლობაში დაბალი ინფლაციის ერთ-ერთი მიზეზი სუსტი შიდა მოთხოვნა იყო, რაც დაბალი ეკონომიკური აქტივობის შედეგს წარმოადგენდა. საბაზო ინფლაცია, რომელიც სურსათისა და ენერგომატარებლების გარეშე გამოითვლება, მეტწილად იმეორებდა მთლიანი ინფლაციის ტრაექტორიას, თუმცა მისი დონე მთლიან ინფლაციასთან შედარებით მაღალი იყო, რასაც სურსათის ფასების ზრდის დაბალი ტემპი და საწვავზე ფასების შემცირება განაპირობებდა. სამომხმარებლო კალათაში ყველაზე მნიშვნელოვანი „სურსათის და უალკოჰოლო სასმელების“ ჯგუფია, რომლის წონა 2015 წლის დეკემბრის მდგომარეობით 31 პროცენტს შეადგენდა. 2016 წლის დასაწყისიდან სურსათის ინფლაცია მცირდებოდა და წლის მეორე ნახევარში ნულოვან ნიშნულთან ახლოს იყო.

ეროვნული ბანკის მონაცემების თანახმად, სამომხმარებლო კალათის



1/3-ზე მეტი იმპორტირებულ პროდუქციას წარმოადგენს. 2016 წლის განმავლობაში ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი წლის დასაწყისთან შედარებით ძირითადად მყარდებოდა; შედეგად, იმპორტირებული საქონელი წლის განმავლობაში საშუალოდ იაფდებოდა. თუმცა, დეკემბერში იმპორტირებული საქონლის ინფლაციამ 1.6 პროცენტი შეადგინა, ხოლო მისი წვლილი საერთო ინფლაციაში 0.3 პროცენტული პუნქტამდე გაიზარდა, მაშინ, როდესაც წინა თვეში ეს მაჩვენებელი -0.7 პროცენტულ პუნქტს უტოლდებოდა. ამ ცვლილებაში საწვავზე ფასების მატების წვლილი ყველაზე მნიშვნელოვანია.

გარდა ამისა, 2016 წლის დეკემბერში ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი გაუფასურდა, რამაც ასევე გარკვეული გავლენა იქონია ინფლაციის მატებაზე. ადგილობრივად და შერეულად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია წლის დასაწყისიდან დეკემბრამდე მცირდებოდა, რაც შეიძლება ზემოხსენებულ საბაზო ეფექტსა და სუსტ შიდა მოთხოვნას დავუკავშიროთ.

# 2016 წელს ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი სამშენებლო დარგი იყო

საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ 2016 წელს 2.7 პროცენტი შეადგინა, – ამის შესახებ ეროვნული ბანკის 2016 წლის ანგარიშშია აღნიშნული. ოფიციალური მონაცემების თანახმად, ეკონომიკის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი მომსახურების დარგებს (1.5 პროცენტული პუნქტი) მიუძღვის, თუმცა ასევე აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვანი იყო ინდუსტრიული დარგების წვლილი (1.2 პროცენტული პუნქტი).




ეროვნული ბანკის 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი სამშენებლო დარგი იყო, რომელიც წლის განმავლობაში 8.1 პროცენტით გაიზარდა და ყველაზე დიდი, 0.6 პროცენტული პუნქტის ტოლი, წვლილი შეიტანა ეკონომიკურ ზრდაში. მშენებლობის ზრდა მაღალი იყო როგორც მთავრობის მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების, ასევე კერძო სექტორის მშენებლობების შედეგად, რომელთაგან აღსანიშნავია ბრიტიშ პეტროლეუმის ახალი მილსადენის პროექტი.

მშპ-ს ზრდაში ასევე მნიშვნელოვანი წვლილი (0.4 პროცენტული პუნქტი) შეიტანა დამამუშავებელმა მრეწველობამ. 2015 წლისგან განსხვავებით, ამ დარგმა 2016 წელს მატება (4.8 პროცენტი) აჩვენა და ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი მთავარი კონტრიბუტორი იყო. წლის მეორე ნახევარში მომატებულმა საგარეო მოთხოვნამ დადებითად იმოქმედა ექსპორტზე და ვინაიდან ძირითადი საექსპორტო პროდუქცია დამამუშავებელ მრეწველობაზე მოდის, ექსპორტზე მოთხოვნის ზრდამ დამამუშავებელი მრეწველობის ზრდა განაპირობა. მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლის IV კვარტალში სამთო-მოპოვებითი მრეწველობა შემცირდა, წლის პირველ ნახევარში არსებული მაღალი ზრდის ტემპის გამო, მთლიანად წლის განმავლობაში ის მაინც მნიშვნელოვნად გაიზარდა და მის ზრდას ძირითადად ოქროს ექსპორტი განაპირობებდა.

უმსხვილესი დარგის, ვაჭრობის ზრდის ტემპი წინა წელთან შედარებით გაიზარდა და 1.8 პროცენტი შეადგინა. ვაჭრობის ზრდა მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკისთვის, რადგანაც ამ დარგში კერძო სექტორში დასაქმებულთა ყველაზე დიდი ჯგუფი მუშაობს. 2016 წელს აღსანიშნავია საფინანსო საქმიანობის დარგის მაღალი ზრდა, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეკონომიკის ზრდაში (ზრდა 9.3 პროცენტი, წვლილი – 0.3 პროცენტული პუნქტი).

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, წლის განმავლობაში (განსაკუთრებით მეორე ნახევარში) მცირდებოდა საპროცენტო განაკვეთები სესხებზე, რამაც გაზარდა მოთხოვნა სესხებზე, განსაკუთრებით უძრავი ქონების ბაზრის მხრიდან. შედეგად, წლის განმავლობაში ამ უკანასკნელი დარგის ზრდამ 6.8 პროცენტი შეადგინა (წვლილი მშპ-ს ზრდაში – 0.4 პროცენტული პუნქტი). სასტუმროები და რესტორნების დარგში ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა, რაც ზოგადად ტურიზმისა და ტურისტული შემოსავლების მატების შედეგია. მომსახურების სექტორიდან აღსანიშნავია სატრანსპორტო მომსახურების დარგის შემცირება, რაც ძირითადად სარკინიგზო გადაზიდვების ხარჯზე მოდის.

# რა პირობების დაკმაყოფილება მოუწევთ მძღოლებს ტექდათვალიერების აღდგენის პირველ ეტაპზე?

ავტომობილების ტექნიკური დათვალიერების აღდგენის პირველ ეტაპზე, მძღოლებს მხოლოდ რამდენიმე საბაზისო ფაქტორის დაკმაყოფილებას მოსთხოვენ.

როგორც საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა და საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კანონპროექტის ერთ-ერთმა ავტორმა, არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, ეს ის ფაქტორები იქნება, რომელთა მოწესრიგება მინიმუმ აუცილებელია იმისთვის, რომ როგორც მძღოლთა, ისე მგზავრთა და ქვეითთა სიცოცხლეს საფრთხე არ შეექმნას.

– რა თქმა უნდა, პარლამენტის საქმეა, რომ მიიღოს კანონები. ჩვენ მხარი დავუჭირეთ გიორგი მღებრიშვილის რეფორმებს, მაგრამ ამის გარდა საგზაო უსაფრთხოებას განაპირობებს კიდევ სხვა მნიშვნელოვანი კომპონენტები, რომლებზეც დისკუსია გააქტიურდა მაშინვე, როგორც კი საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კანონი დავამტკიცეთ. პირველი ეს არის ავტოსკოლების საკითხი და საჭიროა, რომ ერთიანი სტანდარტი იქნეს შემოღებული, რომელიც მინიმუმ უნდა დააკმაყოფილოს ავტოსკოლამ. მეორე ეს არის საგზაო ინფრას-



ტრუქტურა, რასაც თვითმმართველობებმა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ უნდა მიხედოს. ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვანი სამუშაოა გასაწევი, რათა საგზაო ინფრასტრუქტურა შეესაბამებოდეს სტანდარტებს და ავარიების რისკები აქედან არ მომდინარეობდეს. მესამე ესაა საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რა კუთხითაც ასევე ძალიან ბევრი საქმეა გასაკეთებელი, განსავითარებელია ეს მიმართულება და მეოთხე მნიშვნელოვანი ნაწილი ესაა ტექნიკური რეგლამენტი, ავტომობილების ტექნიკური გამართულობა. ჩვენ ევროკავშირთან გვაქვს აღებული ვალდებულება, რომ ქვეყანაში შემოვიღოთ ტექნიკური რეგლამენტი. რა თქმა უნდა, ევროპაში 100-ზე მეტ ტექნიკურ ფაქტორზე ხდება მანქანების შემოწმება, ჩვენ კი ჯერ არ ვართ მზად, რომ ყველა ფაქტორის შემოწმება მოვახდინოთ, რადგან ასეთ შემთხვევაში მანქანების უმეტესობა უბრალოდ ველარ გამოვა ქუჩაში, ამიტომ პირველ ეტაპზე ვფიქრობთ, რომ უფრო გონივრული იქნება და არის საუბარი, რომ მოხდეს საბაზისო ფაქტორების კონტროლი. ეს არის მაგალითად, „ბამპერი“, რომელიც მანქანებს უყენიათ წინა და უკანა მხარეს, სამუხრუჭე სისტემის მოწესრიგება, საბურავი, რომელიც აუცილებლად კარგ მდგომარეობაში უნდა იყოს, უსაფრთხოების ღვედები, განათების სისტემა და გამონაბოლქვი. ვფიქრობ, მინიმუმ ეს 6 ფაქტორი არის ის ფაქტორები, რომლის მოწესრიგება ნებისმიერ თავმოყვარე მძღოლს მოეთხოვება, რადგან საქმე ეხება როგორც მათ, ისე მგზავრების და ქვეითების უსაფრთხოებას, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

საქართველოში ავტომანქანების ტექნიკური დათვალიერება სავალდებულო უკვე რამდენიმე წელია აღარ არის. „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ავტომობილის სავალდებულო პერიოდული ტესტირების აღდგენას გეგმავს, რაც, ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, შესაძლოა 2018 წლიდან მოხდეს.

# მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მომხდარ ავარიასთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო




მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მომხდარ ავარიასთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ქვეითად მოსიარულე ორ მოქალაქეს ავტომობილი დაეჯახა, რის შედეგადაც ერთი ადამიანი დაიღუპა, ხოლო მეორე საავადმყოფოშია გადაყვანილი.

სამინისტროს ცნობით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის ან უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ერთი ადამიანის დაღუპვა.

შსს-ს ინფორმაციით, მძღოლი არ მიმალულა და მის მიმართ ჩატარდება საგამოძიებო მოქმედებები.

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ელიავას ბაზრობის მიმდებარედ, ავტომანქანის დაჯახების შედეგად, ქვეითად მოსიარულე, 30 წლამდე ასაკის ქალი დაიღუპა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თვითმხილველებმა განუცხადეს, „მიცუბიშის“ მარკის ავტომობილი ქალს იმ დროს დაეჯახა, როცა ის ახალგაზრდა მამაკაცთან ერთად გზაზე გადადიოდა. როგორც თვითმხილველები ყვებიან, შეჯახების შემდეგ ავტომობილმა მართვა დაკარგა, გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ტროტუარზე ხეს შეეჯახა.

# ჩოხატაურში მამაკაცი მდინარეში დაიხრჩო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო სურებში ადიდებულმა მდინარემ 50 წლამდე მამაკაცი გაიტაცა.

ინფორმაცია „გურიის მოამბეს“ ადგილობრივებმა დაუდასტურეს.

მათი თქმით, გარდაცვლილი თემურ მეგრელიშვილი, თანასოფლელებთან ერთად ტყეში, სამკურნალო მცენარის მოსაძებნად იყო წასული. ის ადიდებულმა მდინარე სუფსამ იმ დროს გაიტაცა, როცა ცხენით ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე გადადიოდა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# დაპირისპირება თბილისში ტრანსგენდერებსა და მათ მეზობლებს შორის



შინაგან საქმეთა სამინისტრომ გვიან ღამით ტრანსგენდერ ქალებსა და მათ მეზობლებს შორის მომხდარი დაპირისპირების დროს ოთხი პირი დააკავა.

როგორც „ნიუპოსტს“ შს სამინისტროში უთხრეს, მოქალაქეები წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი).

უწყების ცნობით, თავდაპირველად, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით დაიწყო, რაც მუქარას გულისხმობს.

ტრანსგენდერ ქალებსა და მათ მეგობრებს შორის ინციდენტი მოხდა. ადგილზე სამართალდამცავები მას შემდეგ გამოიძახეს, რაც კონფლიქტში მეზობლებიც ჩაერთვნენ.

# ჯარჯი აქიმიძე და დავით დვალი მთავარ პროკურორს მიმართავენ

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დამფუძნებელი ჯარჯი აქიმიძე და დავით დვალი მთავარ პროკურორ ირაკლი შოთაძეს მიმართავენ. აქიმიძე და დვალი პროკურატურისგან დაზარალებულად ცნობას ითხოვენ. როგორც მათ განცხადებაშია აღნიშნული, პროკურატურას პირველი განცხადებით 6 აპრილს მიმართეს, თუმცა მაქსიმალური 14-დღიანი ვადის გასვლის მიუხედავად პროკურატურას ჯარჯი აქიმიძისა და დავით დვალის განცხადებაზე რეაგირება დღემდე არ მოუხდენია.

– იძულებული ვართ, მოგმართოთ თხოვნით, რათა უზრუნველყოთ დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების ჩვენთვის გადმოცემა; ასევე გთხოვთ, დაავალოთ საქმის მწარმოებელ გამომძიებელს წერილობით გვაცნობოს, თუ რა ეტაპზეა ამჟამად გამოძიება ჩვენ მიმართ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის საქმეზე, – ნათქვამია ჯარჯი აქიმიძისა და დავით დვალის მიმართვაში, რომელიც მთავარ პროკურორს გაეგზავნა.

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის დამფუძნებლებისათვის წილების იძულებით წართმევის ფაქტზე გამოძიება 2012 წლის ნოემბრიდან მიმდინარეობს.




# მეუფე ანდრია: „რას ცდილობს მამალაძე? — მოწმის განცხადებები ჩემთვის გაუგებარია“



მეუფე ანდრიას თქმით, პროკურატურაში ოხანაშვილთან დაკავშირებით მისთვის კითხვები არ დაუსვამთ.

მეუფე ანდრია გვაზავა „საზოგადოებრივთან“ ე.წ. ციანიდის საქმის მოწმის ირაკლი მამალაძის იმ განცხადებას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც სოსო ოხანაშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს.

– ე.წ. ციანიდის საქმის მთავარი მოწმის განცხადებები ჩემთვის არის გაუგებარი. გაუგებარია, რას ემსახურებოდა და რას ცდილობს მოწმე, – აცხადებს სასულიერო პირი.

მეუფე ანდრიას თქმით, პროკურატურაში ოხანაშვილთან დაკავშირებით მისთვის კითხვები არ დაუსვამთ.

– ოხანაშვილზე არ იყო კითხვები, არც ციანიდთან დაკავშირებით. კითხვები ეხებოდა სამსახურებრივ უფლებამოსილებას და მოვალეობას, რომელიც მამა გიორგი მამალაძეს ჰქონდა საქართველოს საპატრიარქოს ქონების მართვის სამსახურში, – განაცხადა მეუფე ანდრიამ.

მეუფე ანდრია გვაზავას თქმით, ის გამოძიების დასრულებას ელოდება.

# გიორგი ფანცულაია: „მამალაძის სურვილების გარდა, საქმეში მეუფე დიმიტრისა და ოხანაშვილზე მტკიცებულება არ არსებობს“

ციანიდის საქმეზე ბრალდებული დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატი გიორგი ფანცულაია აღნიშნავს, რომ „საქმეში არ არსებობს არც მეუფე დიმიტრიზე, არც სოსო ოხანაშვილზე რაიმე სახის მტკიცებულება, ირაკლი მამალაძის საჯარო სურვილების გარდა“.

ფანცულაია ამბობს, რომ თუკი პროკურატურას შესაბამისი მტკიცებულებები ექნებოდა, დეკანოზის ბრალდებას ჯგუფურად მკვლელობის მომზადების კვალიფიკაციას მისცემდნენ ან სოსო ოხანაშვილს პასუხისგებაში მისცემდნენ.

– პროკურატურის მოწმისა და თავად საგამოძიებო უწყებების განცხადებები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის და ამ ფაქტებს სასამართლოში მტკიცებულების სახით წარადგენთ, – აცხადებს ადვოკატი.



# „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ პროკურატურასა და შსს-ს მოუწოდებს, ზუგდიდის საკრებულოს აპარატის უფროსის საქმე დროულად გამოიძიონ




„კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ პროკურატურასა და შსს-ს მოუწოდებს, დროულად და ეფექტურად გამოიძიონ ზუგდიდის საკრებულოს აპარატის უფროსის საქმე. როგორც ორგანიზაციაში აღნიშნავენ, დაკავების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია ქმნის ვარაუდის საფუძველს, რომ შსს შესაბამისი თანამდებობის პირების მიერ კონკრეტული თანამდებობის პირის მიმართ მიზანმიმართული დევნა ხორციელდება.

– საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის შესაბამისად, ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს აპარატის უფროსი გრიგოლ მიქავა მეორედ დააკავეს.

გავრცელებული ინფორმაცია ქმნის ვარაუდის საფუძველს, რომ შსს შესაბამისი თანამდებობის პირების მიერ კონკრეტული თანამდებობის პირის მიმართ მიზანმიმართული დევნა ხორციელდება, რაც მომეტებულ საფრთხეს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წინააღმდეგ. გავრცელებული ინფორმაცია მიუთითებს მანკიერ პრაქტიკაზე, რასაც შსს-ს ზოგიერთი თანამშრომელი ახორციელებს მოქალაქეთა მიმართ და რომელიც აზიანებს როგორც შსს-ს ავტორიტეტს, ასევე საზოგადოებაში ზოგადად პოლიციის იმიჯს, ხოლო მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა უხეშ დარღვევას წარმოადგენს. კონკრეტული ფაქტი, გადაკიდების და მაძიებლობის კარგი მაგალითია, რომელიც საერთო ჯამში, უარყოფით გავლენას ახდენს სამართლებრივი სახელმწიფოს იმიჯზე.

ამ და მსგავსი დარღვევების მომავალში თავიდან ასაცილებლად აუცილებელია პროკურატურა და გენერალური ინსპექცია ფაქტით დაინტერესდნენ და შეამოწმონ რამდენად იყო კონკრეტული თანამდებობის პირის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. ასევე, აუცილებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული დაკავების საფუძვლების და პროცედურების დაზუსტება, დახვეწა, რათა არ დაირღვეს ადამიანის ძირითადი თავისუფლება და პოლიციას არ ჰქონდეს შესაძლებლობა, 12-საათიანი ვადით დააკავოს-გაუშვას-დააკავოს და ა.შ. ადამიანი, – ნათქვამია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ განცხადებაში.

# სუს-ის ანტიკორუფციული სააგენტოს დირექტორი ყაზახ კოლეგას შეხვდა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დირექტორი ლაშა ცომაია ყაზახეთის რესპუბლიკის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს შტაბის უფროსის მოადგილეს ტალგარ სერიბკაევს შეხვდა.

მხარეებმა კორუფციასთან ბრძოლასა და პრევენციის საკითხებში სუს-ის ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები განიხილეს. ლაშა ცომაიამ ტალგარ სერიბკაევს სააგენტოს მიერ მიღწეული შედეგები გააცნო. საუბარი შეეხო კორუფციის პრევენციასა და რისკების ანალიზს.

ყაზახეთის რესპუბლიკის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს შტაბის უფროსის მოადგილე საქართველოში ყაზახეთის დელეგაციასთან ერთად იმყოფება.



# გურჯაანში ავარიას 29 წლის მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა




გურჯაანის რაიონის სოფელ ყიტაანში ავარიას 29 წლის მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა. უბედური შემთხვევა გვიან ღამით მოხდა. ავტომობილი ხეს შეეჯახა. მიზეზად გადაჭარბებული სიჩქარე სახელდება.

გარდაცვლილი ავტომობილის მძღოლია, შემთხვევის დროს ავტომობილში მჯდომი მგზავრი მრავლობითი მოტეხილობებით სამედიცინო დაწესებულებაშია გადაყვანილი.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

# ტრამპი, შესაძლოა, ჩრდილოეთ კორეის დიქტატორს შეხვდეს



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეასთან კონფლიქტი საშიშ ზღვარს მიუახლოვდა. ტრამპმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება სურს:

— კიმ ჩენ ინი გონიერი ყმაწვილია. მას არ შეიძლება არ ესმოდეს, რომ კონფლიქტის გაღრმავება მისთვისვეა საზიანო! მზად ვარ, სადაც მოისურვებს, იქ შევხვდე და ყველაფერი მშვიდობიანად მოვაგვაროთ, — თქვა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ჩინეთის ლიდერიც ახსენა. მან ხაზი გაუსვა, რომ აშშ–ჩრდილოეთ კორეის დაპირისპირებაში ჩინეთი კონსტრუქციულ როლს თამაშობს.

— ჩინეთის ლიდერი შესანიშნავი ადამიანია, — ამბობს ტრამპი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ორეგონის პოლიციას შეიარაღებული კატის თაობაზე აცნობეს



ამერიკის ორეგონის შტატის ქალაქ ნიუ-პორტის პოლიციამ მიიღო შეტყობინება, თითქოსდა ხეზე მჯდომი შაშხანით შეიარაღებული კატის შესახებ.

სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები გამოძახების ადგილზე მივიდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შინაური ცხოველი შეიარაღებული სულაც არ ყოფილა და უბრალოდ მას წინა თათებში ხის ტოტი ეჭირა, რომელიც შორიდან ავტომატურ შაშხანას ჰგავდა.

მომხდარის თაობაზე ანგარიში პოლიციამ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

— დილის შეტყობინება შეიარაღებული კატის თაობაზე, სრულიად უსაფუძვლო გამოდგა, — ნათქვამია პოლიციის ანგარიშში. ასევე აღნიშნულია, რომ ცხოველს „სიტყვიერი გაფრთხილება“ მიეცა.

# ქალი მძარცველის ტყვიისგან ხელჩანთამ იხსნა

ამერიკის ქალაქ ნიუ-იორკის მცხოვრები ქალბატონი საკუთარი ხელჩანთის წყალობით მიბჯნით სროლისგან არ დაშავებულა. ტყვია სწორედ მისმა ხელჩანთამ გააჩერა.

მძარცველი 39 წლის ქალს იმ დროს დაესხა თავს, როდესაც ის ნივთებს მანქანის საბარგულში ალაგებდა. ის მას პისტოლეტით დაემუქრა და მანქანის გასაღები მოსთხოვა. როდესაც ქალმა მას წინააღმდეგობა გაუწია, ბოროტმოქმედმა მას ესროლა. ტყვიამ ხელჩანთასა და უბის წიგნაკში გაიარა და ტანსაცმელში გაიჭედა ისე, რომ თავდასხმის მსხვერპლისთვის ზიანი არ მიუყენებია. ამის შემდეგ, მძარცველმა ქალს პისტოლეტი თავში ჩაარტყა, ავტომობილის გასაღები წაართვა და მანქანა გაიტაცა.



პოლიციამ მძარცველი დანაშაულის ადგილიდან ექვს კილომეტრში დააკავა. მას მკვლელობის მცდელობის, ძარცვის, თავდასხმის და იარაღის უკანონოდ შენახვა- ტარების ბრალდება აქვს წაყენებული.

რაც შეეხება დაზარალებულს, ის საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, სადაც ჭრილობაზე ნაკერები დაადეს.

# ჯასტინ ბიბერს კბილებისთვის სამკაულები დაუმზადეს



კანადელმა მომღერალმა ჯასტინ ბიბერმა კბილებისთვის ძვირფასეულობისგან დამზადებული სამკაულები შეუკვეთა.

ნაკეთობა, რომელიც თითოეულ ყბაზე წინა ექვს კბილს ფარავს, ვარდისფერი ოქროსა და ამავე ფერის საფირებისგანაა დამზადებული. ქვების საერთო წონა ექვს კარატს შეადგენს და ის 15 ათას დოლარადაა შეფასებული.

ლოს-ანჯელესის საიუველირო ფირმის Gold Teeth God-ის ოსტატმა ბიბერის შეკვეთაზე დაახლოებით ხუთი დღე იმუშავა. როდესაც სამკაული მზად იყო, კომპანიამ მისი ფოტოსურათი ინსტაგრამში განათავსა.

# 77 წლის ალ პაჩინოს თავისზე ბევრად უმცროსი შეყვარებული ჰყავს



ცნობილმა ამერიკელმა მსახიობმა ალ პაჩინომ თავის 77 წლისთავი 38 წლის შეყვარებულთან ერთად იზეიმა. წყვილი დასასვენებლად მექსიკაში იმყოფებოდა.

აღსანიშნავია, რომ ალ პაჩინოს რჩეული გახდა არგენტინელი მსახიობი ლიუსია სოლა. 2011 წლიდან მოყოლებული, წყვილი რეგულარულად შორდებოდა ერთმანეთს, თუმცა მალე ისევ აღადგენდა ურთიერთობას.

შეგახსენებთ, რომ ალ პაჩინოს შესრულებული აქვს როლები ისეთ ფილმებში, როგორებიცაა „ნათლიმამა“ და „სახენაიარევი მამაკაცი“. ხოლო ფრენკ სლეიდის როლმა ფილმში „ქალის სურნელი“ მსახიობს „ოსკარი“ მოუტანა. ალ პაჩინო დაქორწინებული არასოდეს ყოფილა, თუმცა მას სამი შვილი ჰყავს.

# მილიონობით კიბორჩხალამ კუბის სანაპირო დაიპყრო



კოჩინოს ყურეს (კუბა) სანაპიროზე მილიონობით კიბორჩხალა გამოვიდა. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი იუთუბიზე იქნა გამოქვეყნებული.

როგორ ვიდეორგოლშია ნათქვამი, ყოველწლიურად დიდი რაოდენობით ცხოველი ნაპირზე გასამრავლებლად გამოდის. სამწუხაროდ, მათ უმრავლესობას გზებზე მიმავალი მანქანები სრესენ, ან ფრინველების ლუკმა ხდებიან.

# კამბოჯელ მსახიობს გადაღებებში მონაწილეობა აუკრძალეს



კამბოჯის კულტურისა და ხელოვნების სამინისტრომ მსახიობ დენი კვანს ფილმებში გადაღება ერთი წლით აუკრძალა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი მასმედია ავრცელებს.

ამ აკრძალვის მიზეზი გახდა, სამინისტროს მიერ დაწესებული ჩაცმის მანერასთან შეუსაბამობა. ეს ნორმები 2010 წელს იქნა შემოღებული და მის დანიშნულებას ხელოვნების, კულტურის, ტრადიციების და ერის თვითმყოფადობის დაცვა წარმოადგენს.

დასჯისა და წახალისების საბჭოს გენერალურმა დირექტორმა ჩამროუნ ვანტამ განმარტა, რომ კვანმა ეროვნული ეთიკისა და კეთილშობილების წესდება დაარღვია.

— ის ჩვენ უკვე გვყავდა მოწვეული განმარტებებისთვის და მან პირობა მოგვცა, რომ ჩვენი რეკომენდაციებით იხელმძღვანელებდა, თუმცა ძველებურად გააგრძელა, — განაცხადა ვანტამ.

24 წლის მსახიობის თქმით, დასჯის შესახებ მან ინტერნეტიდან შეიტყო. მისი თქმით, მას არ ესმის, თუ სწორედ მას რატომ აუკრძალეს მუშაობა, ვინაიდან კვანის მტკიცებით, გადასაღებ მოედანზე სხვა მსახიობები კიდევ უფრო სექსუალურად გამოიყურებიან და ეროტიულ სცენებშიც კი ჩნდებიან. თუმცა იქვე დაამატა, რომ კინოში დაბრუნების შემდეგ, ის იმიჯს შეიცვლის და შეეცდება სექსუალურად აღარ გამოიყურებოდეს.

# ვირჯინიაში კატებს პარსავენ

ამერიკის ვირჯინიის შტატის ქალაქ შენანდოა-ველის მცხოვრები შინაური ცხოველების პატრონები ბოროტმოქმედის ქმედებით, რომელიც კატებს პარსავს, შეშფოთებულები არიან. ამ ინფორმაციას ასოშეიტედ პრესი ავრცელებს.



გასული წლის დეკემბერში უცნობმა პირმა შვიდი კატა დაიჭირა, მათ თათები და მუცელი გაპარსა და გაუშვა. ადგილობრივი პოლიციის კაპიტანი კელი უოკერი ამტკიცებს, რომ ძირითადში კატები არ დაშავებულან, თუმცა ზოგიერთ მათგანს სახლში დაბრუნების შემდეგ აღელვება ეტყობოდა. მისი თქმით, ყველა გაპარსული კატა მოვლილი იყო და ყველას საყელურები ეკეთა.

მისივე თქმით, მომხდარის თაობაზე მისთვის მხოლოდ ახლახან გახდა ცნობილი, როდესაც მას ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრება მიმართა. მას გაუჭირდა დაესახელებინა დანაშაული, რომლითაც შეიძლება ბრალი წაუყენონ კატების მპარსველს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

## გთავაზობთ სამსახურს

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

## მკურნალობა

- ალკოჰოლიზმის მკურნალობა გარანტირებული შედეგით (თუნდაც ფარულად — საკვებში შერევით), სიგარეტის გადაგდება, ნიკოტინისგან განთავისუფლება, ნევროზი, უძილობა, კუჭ-ნაწლავის პრობლემები, მცენარეული პარასამკურნალო პროდუქტით, ართრიტი, ართროზი, რევმატიზმი, კანის დაავადებები (ფსორიაზი, სოკო), ქერტლი, ჭაღარისგან, წვრილი ნაოჭებისგან დაცვა, სახის კანის მოვლა, ნიღბები (გოჯის ნიღაბი). პარასამკურნალო საშუალება გარანტირებულად უსაფრთხოა. შეგვიძლია სამკურნალო საშუალების გაგზავნა რეგიონებში, ემიგრანტებთანაც (საჭიროების შემთხვევაში, ადგილზეც ჩავაკითხავთ). მოგემსახურებიან სერთიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტები. გვნახეთ ფაცებოოკ-ზე კარაბადინი-ენზიმები. ტელ: 558-34-36-24; 555-45-13-45; 599-45-88-66.
- სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ტაიმაზოვი მოძმანაშვილისთვის გადასაცემ ოქროს ასაჩივრებს



თავისუფალი სტილით მოჭიდავე არტურ ტაიმაზოვმა (უზბეკეთი), რომელსაც, დოპინგ-სინჯების განმეორებითი შემოწმების შედეგების გათვალისწინებით, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა 2008 წელს პეკინში მოპოვებული ოლიმპიური ოქროს მედალი ჩამოართვა, სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს სააპელაციო საჩივრით მიმართა.

ეს ინფორმაცია თავად საარბიტრაჟო სასამართლომ გაავრცელა. არბიტრაჟის განცხადებაში ნათქვამია, რომ უზბეკმა მოჭიდავემ არტურ ტაიმაზოვმა მათ აპელაციით მიმართა და გაასაჩივრა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 2017 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, 2008 წლის პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე აღებული სინჯების ხელმეორე ანალიზისას აღმოჩენილი აკრძალული პრეპარატების (ტურინაბოლი და სტანოზოლოლი) გამო მას ჩამოერთვა მძიმე წონის მოჭიდავეთა შეჯიბრებაში 2008 წელს პეკინში მოპოვებული ოქროს მედალი.

გარდა პეკინისა, არტურ ტაიმაზოვს ოქროს მედალი მოპოვებული აქვს ათენისა (2004) და ლონდონის (2012) ოლიმპიურ თამაშებზეც. ლონდონში მან ფინალში დაამარცხა ქართველი მძიმეწონოსანი დავით მოძმანაშვილი. 2012 წლის დოპინგ-ტესტებთან დაკავშირებით რაიმე გადაწყვე-

# სუპერლიგა ახალ ფაზაში გადადის



საკალათბურთო სუპერლიგაში დღეს იწყება ბრძოლა ელიტაში ადგილის შენარჩუნებისთვის. ბათუმი, სოხუმი, ოლიმპი, მგზავრები – ამ გუნდებიდან ერთ-ერთი ა ლიგაში დაქვეითდება.

რეგულარული სეზონის შედეგად ეს გუნდები მე-5-8 ადგილებზე გავიდნენ და წრიული სისტემით ითამაშებენ.

პლეი აუტი დღეს თბილისსა და ბათუმში გაიხსნება. დედაქალაქში ერთმანეთს სოხუმი და მგზავრები შეხვდებიან, ხოლო ზღვისპირეთში ბათუმი ოლიმპს დაუხვდება.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.სოხუმი | 28 | 11 | 172224-2355 | 39 |
| 2.მგზავრები | 28 | 10 | 182099-2195 | 38 |
| 3.ოლიმპი | 28 | 10 | 182018-2080 | 37 |
| 4.ბათუმი | 28 | 9 | 192132-2242 | 37 |

**შენიშვნა:** ოლიმპს დაკლებული აქვს 1 ქულა

ხვალიდან კი საქართველოს საკალათბურთო სუპერლიგა ახალ ფაზაში შევა და პლეი ოფის მატჩები დაიწყება.

ნახევარფინალში ერთმანეთის წინაშე წარდგებიან დინამო-რუსთავი და ქუთაისი-კაქტუსი. სერია სამ მოგებამდეა და გამარჯვებულები ბრძოლას ფინალში განაგრძობენ, ხოლო დამარცხებულებს ერთმატჩიანი ბრძოლა ელით მე-3 ადგილისთვის.

მოედნის უპირატესობა დინამოსა და ქუთაისს აქვთ, რადგან მათ მეტოქეებზე მაღალი ადგილები დაიკავეს რეგულარულ სეზონში.

**პლეი ოფების კალენდარი კი ასეთია:**

4 და 5 მაისს ქუთაისი ორჯერ უმასპინძლებს კაქტუსს, ხოლო 9 მაისს უკვე თბილისში ეწვევა. თუ ამ 3 მატჩში არ გადაწყდა სერიის გამარჯვებული, მეოთხე შეხვედრა 10 მაისს ისევ თბილისში გაიმართება, ხოლო თუ ისევ გაურკვეველი დარჩა გამარჯვებულის ვინაობა, გადამწყვეტი მატჩი 15 მაისს ქუთაისში შედგება.

6 მაისს თბილისში დაიწყება დინამოსა და რუსთავის დაპირისპირება, მეორედ დინამო ქვემოქართლელებს 9 მაისს უმასპინძლებს, ხოლო სერია რუსთავში 15 მაისს გადაინაცვლებს, სადაც, თუ საჭირო გახდა, 16 მაისს მეოთხე შეხვედრაც გაიმართება. საჭიროების შემთხვევაში მეხუთე მატჩის თარიღი ჯერ ცნობილი არ არის. სავარაუდოდ, მეხუთე მატჩის საჭიროებას ამ წყვილში ვერ ხედავენ.

მესამე ადგილისთვის ერთი მატჩი 23 მაისს გაიმართება, ხოლო ფინალური სერია 22 და 23 მაისს დაიწყება თბილისში, 26 მაისიდან ქუთაისში გადაინაცვლებს, სადაც 27-ში მეოთხე მატჩის თარიღიც ცნობილია, ხოლო თუ გამარჯვებული არ გამოვლინდა, გადამწყვეტი შეხვედრა 30 მაისს თბილისში გაიმართება.

# ტედი შერინგემი მოურინიოს აკრიტიკებს



მანჩესტერ იუნაიტედის ყოფილმა ფორვარდმა ტედი შერინგემმა ეჭვქვეშ დააყენა ჟოზე მოურინიოს მიდგომა ახალგაზრდა ფეხბურთელებისადმი.

გეტყვით, რომ „წითელი ეშმაკების“ მწვრთნელმა მიმდინარე სეზონში საჯაროდ გააკრიტიკა ლუკ შოუ და ენტონი მარსიალი, რომელთაც უკეთესად თამაშისკენ მოუწოდა. შერინგემს კი მიაჩნია, რომ ასეთი მიდგომით მოურინიო არ ეკუთვნის იმ დიდ მწვრთნელთა რიცხვს, რომლებთანაც მას უმუშავია.

**ტედი შერინგემი:**

– ბევრ დიდ მწვრთნელთან მიმუშავია და პრესაში არცერთ მათგანს არასდროს გავუკიცხივარ. სერ ალექს ფერგიუსონი და ტერი ვენეიბლსი ამას ნამდვილად არასდროს ჩაიდენდნენ და ამიტომაც დიდი მწვრთნელები იყვნენ. ისინი შენს ნაკლზე მხოლოდ გასახდელ ოთახში ან თავიანთ კაბინეტში გესაუბრებოდნენ ან კვირის ხელფასს დაგაკლებდნენ, მაგრამ უკმაყოფილებას ყოველთვის კლუბში ტოვებდნენ. ჩემს მწვრთნელებს დიდ პატივს ვცემდი.

ბოლოს და ბოლოს, ისინი ახალგაზრდა ბიჭები არიან. იზრდებიან და სწავლობენ არა მარტო ფეხბურთს, არამედ ცხოვრებასაც. ბევრ ფულს გამოიმუშავებენ. ჩემ დროსაც ასე იყო. დღესდღეობით ასტრონომიულ თანხებზეა საუბარი და ზოგჯერ თავის ყულფში გაყოფაც გიწევს. მწვრთნელზეა დამოკიდებული იმის გაცნობიერება, რამდენად იღბლიანი ხარ, რომ ფეხბურთს პროფესიონალურ დონეზე თამაშობ და ამისგან სიამოვნება უნდა მიიღო, არათუ მოისროლო. ეს კი ყველასთვის ყურში ჩაძახებით არ უნდა მოხდეს, თუ რა გააკეთე მცდარად – ამას მართლაც არ ვეთანხმები, მაგრამ, ალბათ, ის გეტყვით, რომ მის სიგიჟეს სხვა მეთოდები აქვს.

# იურგენ კლოპი: „პრემიერლიგაში რეალსა და ბარსელონასაც გაუჭირდებათ“



ლივერპულის მთავარი მწვრთნელი იურგენ კლოპი თვლის, რომ პრემიერლიგაში სასურველი შედეგის მიღწევა ისეთ გიგანტებსაც კი გაუჭირდებათ, როგორებიც რეალი და ბარსელონა არიან.

**იურგენ კლოპი:**

– პრემიერლიგაში წინასწარ არაფერია განსაზღვრული. აქ ძალიან ინტენსიური თამაში მიმდინარეობს და თითოეულ მატჩში შეიძლება რაღაც მოხდეს. ვერც ერთ შეხვედრაში ვერ შეძლებთ დაასვენოთ გუნდი და, ამავდროულად, 4:0 მოიგოთ. პრემიერლიგაში ასეთი რამ არ ხდება. ეს ბუნდესლიგაშიც შეუძლებელია, თუკი შენი გუნდი მიუნხენის ბაიერნი არ არის. დიდებულ ესპანურ კლუბებსაც კი გაუჭირდებათ პრემიერლიგის მოგება. რა თქმა უნდა, რეალი და ბარსელონა ყველაფრისთვის იბრძოლებენ, თუმცა აქ დიდ სირთულეებს გადააწყდებიან. წელს ჩელსი კარგ სეზონს ატარებს, მაგრამ, იყო შეხვედრები, როცა მხოლოდ 1:0 მოიგეს და მატჩის ბოლომდე თავის დაცვა უწევდათ. მე ორ ლიგაში თამაშის გამოცდილება მაქვს და, შემიძლია ვთქვა, რომ აქ თამაში ძალიან რთულია. ჰკითხეთ პეპ გვარდიოლას, ისიც იმავეს გეტყვით!

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# არგენტინელ დიბალას ბრაზილიელი რონალდინიოს მაისური სურს



დღეს ტურინის იუვენტუსი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში მონაკოს დაუპირისპირდება. უეფას ვებგვერდზე გამოქვეყნდა ინტერვიუ ტურინული კლუბის ლიდერ პაულო დიბალასთან. არგენტინელი სხვადასხვა თემაზე საუბრობს.

***– რას გვეტყვით ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის დაპირისპირებაზე?***

– ვხვდებით, რომ ორივე შეხვედრა საკმაოდ რთული იქნება. მონაკო ჩემპიონატში პირველ ადგილზეა და ბრწყინვალე შედეგს აჩვენებს. ფრანგებს ძლიერი ფეხბურთელები ჰყავთ, ისევე როგორც ჩვენ. წინ საოცარი სპექტაკლი გველის. ისინი უტევენ და ბევრი გოლიც გააქვთ, თუმცა ეს ნიშნავს, რომ მეტი სივრცეები გვექნება.

***– თქვენ საკუთარი სათამაშო სტილი გაქვთ.***

– ვცდილობ, სწრაფად მივიღო გადაწყვეტილებები, რადგან ბურთთან ერთად დიდი დრო არასდროს გაქვს. დღეს ფეხბურთი ძალიან სწრაფია და ყოველთვის მზად უნდა იყო. ვცდილობ, თამაში გავაანალიზო, შევისწავლო მოწინააღმდეგე, რათა ჩემი უნარები გამოვიყენო, განსაკუთრებით მარცხენა ფეხი, რომელიც ჩემი მთავარი იარაღია. მე, უბრალოდ, მსურს, გავაკეთო ყველაფერი, რათა ჩემს თანაგუნდელებს დავეხმარო.

***– საიდან აირჩიეთ გოლის აღნიშვნის ორიგინალური ვერსია?***

– წლის დასაწყისში გადავწყვიტე, რომ გოლის აღნიშვნის ახალი სტილი მსურდა და რამდენიმე იდეიდან ახალი ამოვარჩიე. ერთ დღეს თავში „დიბალას ნიღბის“ იდეა მომივიდა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს და რამაც წარმატება მომიტანა. რაც ეს გავაკეთე, მას შემდეგ ყველაფერი იდეალურადაა.

***– ვის მაისურს ისურვებდით?***

– ერთ-ერთი, ვისი მაისურიც მსურს, ეს რონალდინიოა. ერთ დღეს ჯენარო გატუზომ პირობა მომცა, რომ ბრაზილიელს დაურეკავდა და გამოართმევდა, თუმცა ეს არ გაუკეთებია. ბავშვობიდან რონალდინიო ჩემი საყვარელი ფეხბურთელი იყო. მისგან ვისწავლე, რომ ყოველთვის უნდა ითამაშო ღიმილით. ხანდახან ევროპელი მწვრთნელები არ იზიარებენ იმ ფეხბურთს, რომელიც ჩვენ, სამხრეთამერიკელებს გვაქვს. ჩვენ ხშირად ვერთობით, ვიცინით, ვცეკვავთ და ასე შემდეგ. ყოველთვის ვცდილობ, ვიყო მხიარული. ეს ჩემშია.

***– წელს რა მიზანი გაქვთ?***

– შეგვიძლია, ეს წელი ჩვენს სეზონად ვაქციოთ. ადვილი არ იქნება, რადგან ჩვენ გარდა კიდევ 3 გუნდია, ვისაც მოგება სურს, თუმცა ჩვენ მაქსიმუმს გავიღებთ. თასის მოგება მიზნის მიღწევას ნიშნავს, რადგან ეს ჩემი ამბიცია და ჩემი თანაგუნდელების. ეს დამსახურებული ჯილდო იქნება იმ ბიჭებისთვის, რომლებიც აქ დიდი ხანი არიან: ბუფონი, მარკიზიო, ბონუჩი, ბარძალი და კიელინი. მათ ჯერ არ მოუგიათ, თუმცა, ვფიქრობ, რომ იმსახურებენ.

# შედეგები

**1 მაისი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

უოტფორდი-ლივერპული ............. 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 34 | 26 | 3 | 5 | 72-29 | 81 |
| 2.ტოტენჰემი | 34 | 23 | 8 | 3 | 71-22 | 77 |
| 3.ლივერპული | 35 | 20 | 9 | 6 | 71-42 | 69 |
| 4.სიტი | 34 | 19 | 9 | 6 | 65-37 | 66 |
| 5.მანჩესტერი | 34 | 17 | 14 | 3 | 51-25 | 65 |
| 6.არსენალი | 33 | 18 | 6 | 9 | 64-42 | 60 |
| 7.ევერტონი | 35 | 16 | 10 | 9 | 60-40 | 58 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 34 | 12 | 8 | 14 | 39-43 | 44 |
| 9.საუთჰემპტონი | 33 | 11 | 8 | 14 | 39-44 | 41 |
| 10.ბორნმუთი | 35 | 11 | 8 | 16 | 50-63 | 41 |
| 11.ლესტერი | 34 | 11 | 7 | 16 | 42-54 | 40 |
| 12.სტოკი | 35 | 10 | 10 | 15 | 37-50 | 40 |
| 13.უოტფორდი | 34 | 11 | 7 | 16 | 37-55 | 40 |
| 14.ბარნლი | 35 | 11 | 6 | 18 | 35-49 | 39 |
| 15.ვესტ ჰემი | 35 | 10 | 9 | 16 | 44-59 | 39 |
| 16.კრ.პალასი | 35 | 11 | 5 | 19 | 46-56 | 38 |
| 17.ჰალი | 35 | 9 | 7 | 19 | 36-67 | 34 |
| 18.სუონსი | 35 | 9 | 5 | 21 | 40-69 | 32 |
| 19.მიდლსბრო | 35 | 5 | 13 | 17 | 26-45 | 28 |
| 20.სანდერლენდი | 34 | 5 | 6 | 23 | 26-60 | 21 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალაგა-სევილია ............................ 4:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 35 | 25 | 6 | 4 | 104-33 | 81 |
| 2.რეალი | 34 | 25 | 6 | 3 | 92-39 | 81 |
| 3.ატლეტიკო | 35 | 21 | 8 | 6 | 65-25 | 71 |
| 4.სევილია | 35 | 20 | 8 | 7 | 62-44 | 68 |
| 5.ვილიარეალი | 35 | 18 | 9 | 8 | 52-28 | 63 |
| 6.ბილბაო | 35 | 19 | 5 | 11 | 51-38 | 62 |
| 7.სოსიედადი | 35 | 19 | 4 | 12 | 54-48 | 61 |
| 8.ეიბარი | 35 | 15 | 9 | 11 | 54-45 | 54 |
| 9.ესპანიოლი | 35 | 13 | 11 | 11 | 45-47 | 50 |
| 10.ალავესი | 35 | 12 | 12 | 11 | 36-41 | 48 |
| 11.სელტა | 34 | 13 | 5 | 16 | 49-57 | 44 |
| 12.მალაგა | 35 | 11 | 9 | 15 | 44-51 | 42 |
| 13.ვალენსია | 35 | 11 | 7 | 17 | 50-61 | 40 |
| 14.ლას პალმასი | 35 | 10 | 9 | 16 | 52-66 | 39 |
| 15.ბეტისი | 35 | 10 | 7 | 18 | 38-57 | 37 |
| 16.დეპორტივო | 35 | 7 | 11 | 17 | 39-59 | 32 |
| 17.ლეგანესი | 35 | 7 | 9 | 19 | 30-53 | 30 |
| 18.ხიხონი | 35 | 5 | 9 | 21 | 38-70 | 24 |
| 19.გრანადა | 35 | 4 | 8 | 23 | 28-74 | 20 |
| 20.ოსასუნა | 35 | 3 | 10 | 22 | 37-84 | 19 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

უესკა-რაიო ...................................... 2:0
ხიმნასტიკი-რეუსი ........................... 0:1

**იტალია. სერია ბ**

ბენევენტო-აველინო ......................... 2:1
ვერონა-ვიჩენცა ............................... 3:2
სალერნიტანა-ფროზინონე ............. 1:3

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლანსი-ლავალი ................................. 2:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ტომი-ზენიტი .................................... 0:2
კრილია-ორენბურგი ........................ 1:1
კრასნოდარი-ანჟი ........................... 0:0

**ბელგია. 1 დივიზიონი**

**პლეი ოფი (ჩდ)**

ბრიუგე-ვარეგემი ............................ 2:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბურსა-გალათასარაი ....................... 0:5
ოსმანლი-ქონია ............................... 0:0

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

ლიბერეცი-ბოჰემიანსი 1905 .......... 4:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

**პლეი ოფი**

ზაგლებიე-კრაკოვია ....................... 2:2

**დანია. სუპერლიგა**

**პლეი აუტი**

სილკებორგი-ორხუსი ..................... 0:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

კალმარი-ჰალმშტადი ..................... 2:0
მალმიო-იორებრო ........................... 2:1
სირიუსი-სედრა ............................... 1:1
დიურგარდენი-ნორჩიოპინგი ........ 3:3

**ნორვეგია. ელიტსერია**

სარპსბორგი-რუსენბორგი ............ 1:2



# როგორ ვუმკურნალოთ მენჯ-ბარძაყის სახსრებს



ეკა ირემაშვილი

მენჯ-ბარძაყის სახსრებს განსაკუთრებული მოვლა სჭირდება. თანამედროვე ორთოპედიაში გამოიყენება ახალი ტიპის პროთეზი – ორმაგი მობილობის იმპლანტი. ორმაგი მობილობის ენდოპროთეზის იმპლანტაცია დასაშვებია როგორც ახალგაზრდა, ასევე ხანდაზმული პაციენტებისათვის. ორმაგი მობილობის იმპლანტით პაციენტს შეუზღუდავი მოძრაობის საშუალება ეძლევა. მათ არ ეკრძალებათ ჩვეული მოძრაობებისგან თავის შეკავება, დაბალ სკამზე დაჯდომა, სიფრთხილის დაცვა კიბეზე ასვლისას, ხანგრძლივი სიარულისგან თავის შეკავება, სპორტით დაკავება.

როგორ ვუმკურნალოთ მენჯ-ბარძაყის სახსრებს, რა არის ორმაგი მობილობის იმპლანტანტი და ვის ესაჭიროება იგი? – ამ თემებზე კლინიკა „ინოვას“ ორთოპედიული განყოფილების ხელმძღვანელი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ექიმი-ორთოპედი რამაზ ალლემაშვილი საუბრობს.

**რამაზ ალლემაშვილი:**

– ხშირად გვეკითხებიან, რატომ არის ორმაგი მობილობის იმპლანტი უნიკალური და რაში მდგომარეობს მისი უპირატესობა.

ოპერაციის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პირობა შეუზღუდავი მოძრაობაა. ორმაგი მობილობის პროთეზის მოძრაობის დიაპაზონი 187 გრადუსამდეა და სახსარი თავისუფლად მოძრაობს ფოსოში, რაც პაციენტს სრულ კომფორტს უქმნის. ჩვეულებრივი პროთეზის გამოყენებით გაკეთებული ოპერაციის დროს კი პაციენტი სახსარს შლის მხოლოდ 90-გრადუსიანი კუთხით. მისი მოძრაობაც შეზღუდულია.

***– ვისთვის შეიძლება ორმაგი მობილობის ენდოპროთეზის იმპლანტაცია?***

– ორმაგი მობილობის ენდოპროთეზის იმპლანტაცია დასაშვებია როგორც ახალგაზრდა, ასევე ხანდაზმული პაციენტებისათვის. მათ არ ეკრძალებათ ჩვეული მოძრაობებისგან თავის შეკავება, დაბალ სკამზე დაჯდომა, სიფრთხილის დაცვა კიბეზე ასვლისას, ხანგრძლივი სიარულისგან თავის შეკავება, სპორტით დაკავება.

ორმაგი მობილობის პროთეზის გამოყენებით ხდება ფოსოს კომპონენტის მარტივად შეზრდა ძვალთან. მას განაპირობებს სპეციალური ფენით დაფარული პროთეზის ზედაპირი. სადები წარმოადგენს კომპენსატორს, რომელიც თავის თავზე იღებს დატვირთვის ნაწილს და ხელს უწყობს აცეტაბულურ ბუდეში ფოსოს უკეთეს მეორად ოსტეოინტეგრაციას ანუ შეზრდას.

***– რამდენად უსაფრთხოა ორმაგი მობილობის პროთეზი?***

– აცეტაბულური კომპონენტის ლითონის საყრდენი დამზადებულია უჟანგავი ფოლადისგან, შემდგომში ჯერ ტიტანისა და შემდეგ ჰიდროქსიაპატიტის დაფრქვევით. ფოსოს შიდა ნაწილი გაპრიალებულია. პოლიეთილენის სადები დამზადებულია მომატებული სიმკვრივის სპეციალური ზემაღალი მოლეკულური პოლიეთილენით, რაც ხელს უშლის ცვეთას, აგრეთვე ახდენს სტატიკური ძალის კომპენსირებას ფეხსა და ფოსოს შორის.

***– როგორია ოპერაციის შემდგომი პერიოდი?***

– პაციენტებს, რომლებსაც ჩაუტარდათ ოპერაცია ორმაგი მობილობის იმპლანტის გამოყენებით, დროთა განმავლობაში სრულიად მოეხსნათ ტკივილი და დაუბრუნდათ ანატომიური მოძრაობის საშუალება ნორმალური, აქტიური ცხოვრების გასაგრძელებლად.

## ჩინეთში ორი წლის ბავშვს ორმა მანქანამ გადაუარა



ჩინეთის პროვინცია სიჩუანში ორი წლის გოგონას, რომელიც მოულოდნელად გზაზე გამოვარდა, ორმა მანქანამ გადაუარა. მომხდარის ვიდეოჩანაწერი ქუჩის სათვალთვალო კამერამ გადაიღო და ის ჲ ჩ ჵეწს-მა გამოაქვეყნა.

ტელეარხის ინფორმაციით, მომხდარის შემდეგ გოგონასთან მისმა ბებიამ მიირბინა. ბავშვი ერთ-ერთ ადგილობრივ საავადმყოფოში თავის უმნიშვნელო ტრავმით მიიყვანეს.

## ახალ ზელანდიაში ზვიგენმა ფრანგ ტურისტს უკბინა



ახალ ზელანდიაში ზვიგენი თავს დაესხა ფრანგ ტურისტს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

გოგონა ყურე კურიოს სანაპიროსთან სერფინგით იყო დაკავებული თავის მეგობარ მამაკაცთან და მეგობრებთან ერთად. ის საცურაო დაფაზე იწვა, როდესაც მას ფეხზე ზვიგენმა უკბინა.

მეგობრებმა დაშავებული პლაჟზე აიყვანეს და ცდილობდნენ, შვეულმფრენის მოსვლამდე, ზვიგენის კბილების მიერ დატოვებული ღრმა ჭრილობებიდან მისთვის სისხლდენა შეეჩერებინათ.

სერფინგის სკოლის ხელმძღვანელის თქმით, რომელიც ინციდენტს შეესწრო, გოგონას ამ დროის მანძილზე გონება არ დაუკარგავს და სიმშვიდეს ინარჩუნებდა. საბედნიეროდ ნაკბენი არტერიას არ შეხებია და შედეგად სისხლდენა ძლიერი არ ყოფილა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## გორილის ფორმიანმა მამაკაცმა მარათონის ფინიშთან მეექვსე დღეს მიაღწია

ლონდონის მარათონის მონაწილე, რომელიც გორილის კოსტიუმში იყო გამოწყობილი ოთხზე დამდგარი ფინიშის ხაზთან მეექვსე დღეს მივიდა. ის გარბენის დასასრულის ვიდეოტრანსლაციას ტვიტერით ახორციელებდა.

მარათონული დისტანციის ბოლო მეტრები მამაკაცმა შვილების თანხლებით გაიარა, რომლებიც ასევე მაიმუნების ფორმაში იყვნენ გამოწყობილნი. ფინიშის ხაზთან, მას რამდენიმე ათეული ადამიანი მიესალმა, მათ შორის სახელგანთქმული ბრიტანელი ნატურალისტი, კომიკოსი და ტელეწამყვანი ბილი ოდი.

ბრიტანეთის პოლიციის თანამშრომელმა ტომ ჰარისონმა, რომელიც გარბენში მისტერ გორილას ფსევდონიმით იღებდა მონაწილეობას, სტარტი მარათონის სხვა მონაწილეებთან ერთად 23 აპრილს აიღო.

სხვებისგან განსხვავებით, ის კი არ გარბოდა, არამედ ოთხივე კიდურის გამოყენებით გადაადგილდებოდა. ამან კი მნიშვნელოვნად შეზღუდა მისი სიჩქარე. მისი მტკიცებით, ოთხზე სიარული გაცილებით რთულია, ვიდრე ორ ფეხზე სირბილი.



ამ წამოწყების მიზანს წარმოადგენდა იმ საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის თანხის შეგროვება, რომელიც აფრიკული გორილების გადარჩენითაა დაკავებული. ჰარისონის წყალობით, ორგანიზაციისთვის 22 ათას ფუნტ სტერლინგზე მეტი თანხის შეგროვება მოხერხდა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## ასტროპროგნოზი
### 3 მაისისათვის



**ვერძი** – მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად არ ენდოთ. ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით უკმაყოფილოა. **კურო** – გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები, თუმცა სულ მალე მატერიალური მდგომარეობა მკვეთრად გაგიუმჯობესდებათ. **ტყუპები** – წარმატებული დღეა. თქვენს შესაძლებლობებს სრულყოფილად წარმოაჩენთ. **კირჩხიბი** – ეჭვიანობა უკუაგდეთ და ირწმუნეთ საკუთარი თავის. თამამად გარისკეთ. **ლომი** – დაგროვილი უარყოფითი ემოციებისგან თავისუფლდებით. გელით საინტერესო ცვლილებები. **ქალწული** – მორალურ პრინციპებს არ უღალატოთ. დაკისრებული მოვალეობები პირნათლად შეასრულეთ. **მშვილდოსანი** – თქვენი სულიერი და შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. წარსულში დაშვებული შეცდომები გაითვალისწინეთ. **ღრიანკალი** – პირად ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებებისთვის მოემზადეთ. არასაჭირო კავშირებისაგან თავი შეიკავეთ. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი დღეა. საქმისადმი ერთგულება და პრინციპულობა დადებით შედეგს გამოიღებს. **თხის რქა** – ძველი მეგობრების მონატრება ძლიერია. ნუ გადადებთ მათთან ვიზიტს. ილუზიებს არ აჰყვეთ. **მერწყული** – პლანეტები გწყალობენ. გარშემომყოფებს გულითადად მოეპყარით და ეცადეთ, ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნოთ. **თევზები** – საჯარო სამსახურში დასაქმებულთათვის იღბლიანი პერიოდია. პარტნიორული ურთიერთობები ნაყოფიერი იქნება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ახალი, ნედლი თევზისგან მომზადებული იაპონური კერძი; 2. საქართველოში მზარდი ტროპიკული ხე, რომლისგანაც იღებენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს; 3. ფერადი, გაუმჭვირვალე შუშის პატარა ნაჭრები მოზაიკური სამუშაოებისთვის; 5. ფრანგული მინერალური წყალი; 6. ნიუ იორკში თავისუფლების ქანდაკების ავტორი ფრანგი მოქანდაკე; 8. ყველაზე დიდი კუნძული მსოფლიოში; 10. შავი ზღვის სანაპიროზე გავრცელებული გუტაპერჩის შემცველი სწრაფად მზარდი ჩინური ხე; 12. ბრაზილიის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 14. ცხენის მოსართავი; 15. მოხსენების, ლექციის მოკლედ ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებანი; 16. ამერიკული სამხედრო მოიერიშე ვერტმფრენების სერია.

**თარაზულად**: 1. კომბინაცია პოკერში; 4. ქცევაში, ლაპარაკში გამოხატული დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე; 7. ებრაელთა ახალი წლის სახელწოდება; 9. თიხის, ცეცხლგამძლე ლაბორატორიული ჭურჭელი; 11. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 12. შურისძიების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 13. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 17. აეროპორტი პრაღაში; 18. აზრი, ჩანაფიქრი; 19. სისხლის სამართლის დანაშაული; 20. ძალიან იშვიათი ნივთი, ექსპონატი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბაიკერი; 2. ჭიათურა; 3. აგუერო; 4. შპრეე; 5. „არსენალი“; 7. მზე; 11. როკოკო; 15. არიფანა; 16. „კომბლე“; 17. ბადრო; 18. „ნოკია“; 20. „გუელი“; 22. კაპი.

**თარაზულად:** 6. აღლუმი; 8. ქირურგი; 9. მარკესი; 10. კარცერი; 12. ნურიე; 13. ებანი; 14. კლაკიორი; 19. ეპილოგი; 21. „დარიკო“; 23. „ონიმა“; 24. წრიაპი; 25. ინსულტი; 26. შატბერდი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ხევი; 2. ნიყვი; 3. უჯარმა; 5. „ზვარე“; 6. ლიმუზინი; 8. „იუნიველირი“; 10. ოგინსკი; 12. დელფინი; 14. ალგეთი; 15. სუმიდა; 16. ესაძე.

**თარაზულად:** 1. ხამონი; 4. „იზაბელა“; 7. ჯოყოლა; 9. მოხერი; 11. ინტრიგა; 12. დოლომანი; 13. ანხელი; 17. მალიბუ; 18. თექა; 19. ინანთეული; 20. სიმენონი.

# გოგა ჩანადირი: „გადავწყვიტე, არ ვისარგებლო იმ დაწესებულებათა მომსახურებით, რომლებიც გარეაბრებზე ქართულად არ აწერენ“

ფოტოხელოვანი გოგა ჩანადირი საჯაროდ გამოხატავს პროტესტს ქართული ენის უპატივცემულობასთან დაკავშირებით და მოუწოდებს საზოგადოებას, პროტესტი გამოუცხადონ ასეთ დაწესებულებებს.

**გოგა ჩანადირი:**

– გადავწყვიტე, არ ვისარგებლო იმ დაწესებულებათა მომსახურებით, არ შევიძინო მათი ნაწარმი, რომლებიც პატივს არ სცემენ კანონს რეკლამის შესახებ, სახელმწიფო ენას და გარეაბრებზე ქართულად არ აწერენ.

მაშინაც კი, თუ ქართული წარწერა ზომით და რაოდენობით უცხოურზე ნაკლებია, ანუ სულ მცირე, თანაზომადობისა და ოდენობის პრინციპი არ არის დაცული, ასევე კანონდარღვევაა, ასევე სახელმწიფო ენის უპატივცემულობაა.

პროტესტი ეხება ყველა ასეთ მაღაზიას, რესტორანს, კაფე-ბარს, გასართობ დაწესებულებას, სასტუმროებსა თუ საოჯახო სასტუმროებს, მომსახურების ცენტრებსა და ა.შ.

რადგან სახელმწიფო უწყებები სათანადოდ არ იცავენ კანონსა და ქართულ ენას, იძულებული ვარ, პროტესტის ეს ფორმა გამოვიყენო და დაცვას ასე შევეცადო.

ძალიან კარგი იქნება, ყველა თუ შევეცდებით კანონის აღსრულებას, სახელმწიფო ენის დაცვას.





# ვახო ბიჭიკაშვილი და ნიკა არაბიძე ბიზნესმენები გახდნენ

კომედი შოუს მსახიობები ვახო ბიჭიკაშვილი და ნიკა არაბიძე ბიზნესმენები გახდნენ.

იუმორისტებმა საკუთარი კომპანია გახსნეს. „მოტორინო პიცა“ – ასე ეწოდება კომპანიას, რომელიც მომხმარებელს უგემრიელეს პიცას სთავაზობს.

ინფორმაცია ვახოს და ნიკას ბიზნესის წამოწყებასთან დაკავშირებით, თავად ვახო ბიჭიკაშვილმა გაავრცელა. სპეციალურად „მოტორინო პიცისთვის“ საგანგებო ვიდეომიმართვა ჩაწერა ნიკა არაბიძემაც და მოსახლეობას თბილისში უგემრიელესი პიცის გამოჩენის შესახებ შეატყობინა.

როგორც ვახო ბიჭიკაშვილმა განაცხადა, „მოტორინო პიცას“ უკვე დიდი გამოხმაურება აქვს და იმედს გამოთქვამს, რომ მათი ბიზნესი წარმატებული იქნება.

# „იქს ფაქტორის“ კონკურსანტი საავადმყოფოში გადაიყვანეს

„იქს ფაქტორის“ კონკურსანტი მერაბ ამზოევი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მომღერალმა რეპეტიციის დროს შემთხვევით თავი დაარტყა და შეშინებულმა სოფო ნიჟარაძემ სასწრაფო დახმარება გამოიძახა.

ფოტოები შემთხვევის ადგილიდან სოფო ნიჟარაძემ და სტეფანე მღებრიშვილმა გამოაქვეყნეს. სასწრაფო დახმარების ბრიგადის მოსვლის დროს კონკურსანტი უკვე კარგად გრძნობდა თავს, მაგრამ ექიმებმა ის საავადმყოფოში მაინც გადაიყვანეს, სადაც გამოკვლევები ჩაუტარდა და გაირკვა, რომ ის აბსოლუტურად ჯანმრთელია.




# „იქს ფაქტორში“ მენტორებმა კატეგორიები ჩაიბარეს



„იქს ფაქტორის“ მეოთხე სეზონში მენტორებმა კატეგორიები ჩაიბარეს. შესარჩევი კონკურსის შედეგად შერჩეული კონკურსანტების მოსმენის შემდეგ სოფო ნიჟარაძემ, ლელა წურწუმიამ, გიორგი გაბუნიამ და სტეფანე მღებრიშვილმა ხანგრძლივი კამათის, მსჯელობის და განხილვის შემდეგ საუკეთესო 40-ეული დაასახელეს და ისინი 4 კატეგორიაში – გოგონები, ბიჭები, ბავშვები და ჯგუფები – გადაანაწილეს.

შოუს პროდიუსერებმა კი ოთხივე მენტორს თავისი კატეგორია არგუნეს. „იქს ფაქტორის“ ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით, გიორგი გაბუნია ბავშვების მენტორი იქნება, სტეფანე მღებრიშვილი ჯგუფებს უხელმძღვანელებს, ლელა წურწუმია გოგონების კატეგორიით იბრძოლებს გამარჯვებისთვის, სოფო ნიჟარაძე კი – ბიჭების კატეგორიით.

„იქს ფაქტორის“ ცოცხალი ეთერების დაწყებამდე სულ ცოტა დროა დარჩენილი. მენტორებმა უკვე მოასწრეს 4 სკამის და 2 სკამის ტურების ჩაწერა. მათ უკვე ჰყავთ 2-2 რჩეული კონკურსანტი, რომლებთან ერთადაც გამარჯვებისთვის და „იქს ფაქტორის“ მეოთხე სეზონის საუკეთესო მომღერლის ტიტულის მოსაპოვებლად იბრძოლებენ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ჯასპერ ბლექი საავადმყოფოში მოხვდა



„ცეკვავენ ვარსკვლავების“ ერთ-ერთი მონაწილე ჯასფერ ბლექი საავადმყოფოში მოხვდა. ფოტოები საავადმყოფოდან საქართველოს მე-6 მილიონე ტურისტმა თავად გაავრცელა.

ჯასფერის მეწყვილე პროექტში მოცეკვავე ვერკა ჯაჯანიძეა. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, ჯასფერი საკვებმა მოწამლა და სწორედ ამის გამო გახდა საჭირო მისი საავადმყოფოში მოთავსება.

უცხოელი ტურისტის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა მას რეპეტიციებზე სიარული ჯერჯერობით არ შეუძლია, რადგან თავს სუსტად გრძნობს.

იცეკვებს თუ არა ჯასფერ ბლექი „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მომდევნო ტურში, ამასთან დაკავშირებით პროექტის ხელმძღვანელები ინფორმაციას ჯერჯერობით არ ავრცელებენ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ტაილანდელმა ნათელმხილველმა შემთხვევით თავი მოიკლა

ტაილანდის ქალაქ ჩიანგმაიში ტრადიციული რიტუალის შესრულებისას ნათელმხილველი დაიღუპა.



25 წლის მამაკაცი ყოველწლიურ რიტუალში მონაწილეობდა, რომელიც წინაპართა სულების პატივსაცემად ტარდება. მრავალრიცხოვანი მაყურებლების თვალწინ მან მახვილი ჩაირტყა.

– ჩვეულებრივ, ამ დროს მახვილი ტყდება, მაგრამ ამჯერად ასე არ მოხდა და მკერდში შეერჭო, – განაცხადა ერთ-ერთმა თვითმხილველმა.

მაყურებლები შეეცადნენ ნათელმხილველისთვის დახმარება აღმოეჩინათ, მაგრამ მათმა მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო. მამაკაცი მოგვიანებით საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ადგილობრივის თქმით, გარდაცვლილი მომავლის წინასწარმეტყველებით იყო დაკავებული, ის პატივისცემით და ხალხის სიყვარულით სარგებლობდა.

# ცხედრის დაწვა კრემატორიუმში ხანძრით დამთავრდა

ამერიკის ოჰაიოს შტატის ქალაქ ცინცინატში კრემატორიუმს ცეცხლი წაეკიდა. დაწესებულების მფლობელის თქმით, ხანძარი იმ ადამიანის ცხედრის კრემაციის დროს გაჩნდა, რომელიც სიმსუქნისგან იტანჯებოდა.

– სხეული მეტისმეტად ცხიმიანი იყო და, როგორც ჩანს, ამის გამო ცეცხლი იმაზე უფრო ძლიერი გამოვიდა, ვიდრე ამისთვის მოწყობილობა იყო გაანგარიშებული, – განაცხადა კრემატორიუმის მფლობელმა.

ცინცინატის სახანძრო დაცვის ხელმძღვანელმა მაიკლ უოშინგტონმა განმარტა, რომ ცხიმის წვის დროს, ღუმელში ტემპერატურამ ნორმალურს ბევრად გადააჭარბა, რის შედეგადაც ცეცხლი გვერდით მდგომ კონტეინერებზეც გავრცელდა.



მეხანძრეებს ორი საათი დასჭირდათ ცეცხლის ჩასაქრობად. ამასთან კრემატორიუმს სერიოზული დაზიანებები არ მიუღია და ის აგრძელებს მუშაობას.

# ავსტრალიელმა მოსამართლემ ნარკოდილერი შეაქო

ავსტრალიის კვისლენდის შტატში მოსამართლე ენი ლაიონსმა განაჩენის გამოტანის დროს ბიზნესის კარგად წარმართვისთვის ნარკოდილერი შეაქო.

2015 წლის ივნისში ნარკოტიკების შენახვისა და გასაღებისთვის დაკავებული 18 წლის ბროუდი გერი სატერლი ერთი თვის განმავლობაში ყიდიდა მეტამფეტამინს. როგორც ცნობილი გახდა, ახალგაზრდა „კლიენტებს“ ფასდაკლებას სთავაზობდა, ხოლო თუ მას საქონლის ხარისხი არ აკმაყოფილებდა, ფულს უკან უბრუნებდა. სატერლის ასევე შედგენილი ჰქონდა პრეისკურანტი, თვალს ადევნებდა გამოხმაურებებს, რეკლამას უკეთებდა „ხარისხიან პროდუქტს“ და ბიზნეს-სტრატეგიის განსახილველად შეხვედრებს აწყობდა.

როგორც მოსამართლემ აღნიშნა, სატერლიმ ბიზნესის წარმოების „არცთუ ურიგო ჩვევები“ გამოავლინა.

– რა თქმა უნდა, ეს არ იყო საუკეთესო ბიზნესი, მაგრამ იყო კარგი ბიზნესმოდელი, – განაცხადა მოსამართლემ. მან ასევე ვარაუდი გამოთქვა, რომ ბრალდებულს შეეძლო წარმატება ლეგალურ საქმიანობაშიც მიეღწია, გამომდინარე მისი შესაძლებლობებიდან.

ლაიონსმა ნარკოდილერს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა იქვე პირობითად ვადაზე ადრე გაათავისუფლა. მოსამართლემ საკუთარი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ საქმის სასამართლო განხილვის ორი წლის მანძილზე, სატერლის არ მოუხმარია ნარკოტიკები და კანონი არ დაურღვევია.

მან ასევე ახალგაზრდას ურჩია, ამ შანსით ისარგებლოს და სწავლას მოჰკიდოს ხელი, რათა ცხოვრებაში წარმატებას მიაღწიოს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პროგრამა

**ოთხშაბათი 3 მაისი**

**07.00** დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" **08.00** კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "ფერმა" **14.30** "სიტყვების თამაში" **15.00, 02.10** "С სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00, 03.10** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "მთავარი"- თამარ ჩიქოვანთან ერთად **22.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგის პირველი **1/2** ფინალური მატჩი **00.30** მხ/ფ "**რედ როქი**" (ნ.კეიჯი)

**08.00** დოკ/ფ "დაოს გზა ანუ უკვდავების ხელოვნება" **09.00** დოკ/ფ "ელიოტ ნესი ალ კაპონეს წინააღმდეგ" **10.00** "გეოფაქტორი" **10.20** დოკ/ფ "ჩერჩილის გამოწვევა" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია**" **23.00** "მოამბე" (**3** ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**ტყუილის გამოგონება**" (ჯ.გარნერი)

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.30** ქრონიკა **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** მხ/ფ "**ყოფილი ცოლების კლუბი**" **01.30** მხ/ფ "**ჩვენ ანგელოზები არ ვართ**"

**06.00, 18.30** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45, 19.57** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.30** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** გააცინე და მოიგე

**08.00** ან/სერ. ფანბოი და ჩამ-ჩამი **09.00, 13.00** სერ. "**აღქმა**" **11.00, 17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია**" **19.00** სერ. "**გაბოროტებული**" **21.00** სერ. "**ანგარიშსწორება**" **22.30** მხ/ფ "**კუნძული**" **01.00** მხ/ფ "**მაშველი**" **03.40** მხ/ფ "**სახელმწიფოს მტერი**"

**06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" **10.30** დ/ფ "ველური ბუნება"-ოპოსუმი ღამის სტუმარი **11.10** მიწათმოქმედი-"ნიადაგი და თესლი" **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ნეკერჩხალი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** კონცერტი **16.25** ეპოქა და ადამიანები **17.00** დ/ფ "მანანა დოიჯაშვილი" **17.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** თბილისის ტაძრები "მამა დავითი" **19.40** დ/ფ "ეკატერინე ჭავჭავაძე" **20.40** ძილი ნებისა "ხელმარჯვე ოსტატი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** ღვთის სახლი "დორეთ კარის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** ღვთის სახლი "კასრისა და გიშის ტაძრები" **00.25** ისტორიის დღიური **01.00** საუკუნის პორტრეტები "მიხეილ მესხი" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) **8.00, 13.30, 15.30** სერ. "**მიცანი თუ შეძლებ**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.40** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **22.30**, სერ. "**გემი**" **23.50, 5.40** სერ. "**ესკობარი**" **1.30** "კონტაქტი" **2.00** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**3 მაისისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4411 |
| ევრო | 2.6606 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.1566 |
| 100 რუსული რუბლი | 4.2885 |

## ამინდის პროგნოზი 3 მაისისთვის







## 2 მაისიდან

ჯოვანი ბოკაჩო

# დეკამერონი

I ნაწილი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

## 3 მაისიდან

ქართული დეტექტივი, ტომი 12

# აბუსერიძეების საგა

მაია ბურჭულაძე



ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი



## 4 მაისიდან

სერია „ქართული საუნჯე“ ბავშვებს

50 საბავშვო ლექსი

მაგარი ყდა, ფერადი

ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი

## 9 მაისიდან

ჯოვანი ბოკაჩო

# დეკამერონი

II ნაწილი



ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


# ზლატანი მოედანზე 8 თვის შემდეგ დაბრუნდება



მანჩესტერ იუნაიტედის შვედი ფეხბურთელი ზლატან იბრაჰიმოვიჩი მოედანზე 8 თვის შემდეგ დაბრუნდება, რაც იმას ნიშნავს, რომ იბრას მომავალი სეზონის ნაწილიც გაუცდება. ზლატანმა მუხლის ტრავმა ანდერლეხტთან შეხვედრაში მიიღო და ოპერაციაც გაიკეთა, რის შემდეგაც ცნობილი გახდა, რომ მას სარეაბილიტაციო კურსი დასჭირდება, რომელიც მინიმუმ 8 თვეს გასტანს.

აღსანიშნავია, რომ ზლატანს ზაფხულში მანჩესტერთან კონტრაქტი უმთავრდება და, შესაძლოა, ის გუნდის გარეშეც აღმოჩნდეს, თუ იუნაიტედმა ხელშეკრულების გახანგრძლივება არ მოინდომა.

წლევანდელ სეზონში იბრაჰიმოვიჩის ანგარიშზე 17 გატანილი გოლია.

# ფაბრეგასის ტრანსფერი მილანში თითქმის გადაწყვეტილია



ჩელსის ესპანელი ნახევარმცველის სესკ ფაბრეგასის ტრანსფერი იტალიურ მილანში თითქმის გადაწყვეტილია. მილანს ახალი მფლობელები ჰყავს, რომლებსაც ზაფხულში სერიოზული გეგმები აქვთ და ფაბრეგასის ყიდვა მათი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ფაბრეგასი ჩელსიში არ სარგებლობს მწვრთნელის ნდობით, თუმცა ის საკმაოდ ხშირად გამოდის ცვლილებებზე და ბოლო შეხვედრაში ევერტონთან გოლიც გაიტანა.

მიუხედავად ამისა, ფაბრეგასი ჩელსის დატოვებას აპირებს და მილანი მისთვის კარგი ვარიანტი იქნება.

იტალიური გუნდი ამ ტრანსფერში 30 მილიონ ევროს იხდის.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**



# იუმორი

მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა დაეწერათ საკლასო სამუშაო თემაზე: „მილიონი რომ მქონოდა, რას გავაკეთებდი“.

ოცი წუთის შემდეგ გოგი მასწავლებელთან მივიდა ფურცლით, რომელზეც რაღაც გაანგარიშებებია და ეუბნება:

– კიდევ ცხრაას ოთხი ათასს ვერ დამიმატებდით?

•••

ხანდაზმული მამაკაცი სექსოპათოლოგს ეუბნება:

– ექიმო, სქესობრივი აქტის შემდეგ, ყურებში დაახლოებით ათი წუთის მანძილზე სტვენის ხმა მესმის...

– უკაცრავად და რამდენი წლის ბრძანდებით?

– სამოცდახუთის.

– აბა, რაღას მოელით, აპლოდისმენტებს?

•••

ეგვიპტეში ჩასული ტურისტი ნილოსის პირას ზის და თევზაობს. საშინელი სიცხეა, ოფლად იღვრება, თევზსაც ვერ იჭერს. გავიდა ერთი საათი, ორი, თევზი არ ჩანს. ამ დროს მდინარიდან ნიანგმა ამოყო თავი და ეკითხება:

– ცხელა?

– აჰა...

– ჩახუთულობაა?

– აჰა...

– ხომ არ იბანავებდი?

•••

ქალაქელი სოფლის გზიდან ყანაში გადაუხვევს გზის შესამოკლებლად. ყანის პატრონი ეკითხება:

– სად მიდიხარ?

– რკინიგზის სადგურზე, მატარებელზე მაგვიანდება და მოკლეზე მინდა გზა მოვჭრა.

– დაიცადე, ახლავე ძაღლს ავუშვებ და უფრო მალე მიხვალ...

•••

ბიჭი გოგოს „კარტის“ თამაშს სთავაზობს:

– მოდი, სექსზე ვითამაშოთ!

– ეს როგორ?

– თუ მე მოვიგე, ჩემთან დაწვები!

– და თუ მე მოვიგე?

– მაშინ, შენთან დავწვები!

•••

მასწავლებელი გიგის ეკითხება:

– ხეების მიხედვით როგორ უნდა დავადგინოთ, სად არის ჩრდილოეთი და სად სამხრეთი?

– სულ ადვილია, ნაძვი – ჩრდილოეთია, პალმა კი სამხრეთი!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.





ილია ჭავჭავაძის მკვლელობა დღემდე ბურუსითაა მოსილი. ლაშა იმედაშვილი რომანში **„სამი მკვლელობა ძველ თბილისში“** ამ ტრაგედიის საკუთარ ვერსიას სთავაზობს მკითხველს.

**„პატრიარქის ზაფხული“** კი პატრიარქ კირიონის ასევე საიდუმლოებით მოცულ მკვლელობას ეხება.

დეტექტიური სიუჟეტის პარალელურად, რომანებში აღწერილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის 20-იანი წლების თბილისისა და საქართველოს ცხოვრება.

ლაშა იმედაშვილის მაღალი სამწერლო ოსტატობა და განუმეორებელი სტილი მკითხველს დიდ სიამოვნებას მიანიჭებს.


# ხავი: „კრიშტიანო რონალდუს ერთადერთი პრობლემა მესის არსებობაა“



ბარსელონის ლეგენდა ხავიმ, რომელიც ამჟამად საუდის არაბეთში თამაშობს, კრიშტიანო რონალდუზე ისაუბრა და თქვა, რომ რონალდუს ერთადერთი პრობლემა მესის არსებობაა, სხვა შემთხვევაში კი ის მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელი იქნებოდა:

– კრიშტიანო რონალდუ შესანიშნავი ფეხბურთელია და ის ფეხბურთის ისტორიაში შევა. მისი ერთადერთი პრობლემა ლიონელ მესის არსებობაა, რადგან, სანამ მესი ითამაშებს, ის ყოველთვის საუკეთესო იქნება. რონალდუს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მისი მესისთან შედარება არ შეიძლება.

ხავიმ და მესიმ ბარსელონის შემადგენლობაში ერთად 9 სეზონი ითამაშეს.

# იურგენ კლოპი: „ლივერპულმა თმა გამითეთრა“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა უოტფორდთან მნიშვნელოვან გამარჯვებაზე ისაუბრა და თქვა, რომ ბოლო წუთებმა მას თმა გაუთეთრა.

მიუხედავად ამისა, კლოპის აზრით, მისმა გუნდმა გამარჯვება დაიმსახურა:

– მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობას ვფლობდით, რასაც ემრე ჯანის ლამაზი გოლი მოჰყვა. ბოლო წუთებზე ცოტათი მოვეშვით, რის გამოც კინაღამ დავისაჯეთ. ბოლო წუთებმა თმა გამითეთრა, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა.



ლივერპულმა უოტფორდი 1:0 დაამარცხა და ამ გამარჯვების შემდეგ მერსისაიდელებს ჩემპიონთა ლიგაში გასვლის კარგი შანსი აქვთ.

# კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. საარტილერიო იარაღი; 2. საავტომობილო საბურავების ერთ-ერთი გამომგონებელი ირლანდიელი მექანიკოსი; 3. სახელმწიფო აფრიკაში; 4. ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა; 5. ბალეტის მოცეკვავე მამაკაცი; 7. ბრიტანელი მწერალი, დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 11. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. სატირული ხასიათის მიბაძვა; 16. იტალიელი კინორეჟისორი; 17. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 18. ყველაზე დიდი ოსაკას აეროპორტი იაპონიაში; 20. ოპერა „ჯამბაზების“ პერსონაჟი; 22. მდგომარეობა ჭადრაკში.

**თარაზულად**: 6. უნგრეთის ფეხბურთელთა გუნდი; 8. გადასახდელზედიანი ძველებური ეტლი; 9. პატარა სამკუთხა ალამი; 10. მზის სისტემის პლანეტა; 12. სამხედრო იარაღის მწარმოებელი ქართული ფირმა; 13. იაპონური აბანო; 14. მდინარე აშშ-ში; 19. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 21. სოციოლოგიური კვლევის ამერიკული ცენტრი; 23. „ფორმულა-1“-ში მონაწილე იტალიელი ავტომრბოლელი; 24. ლითონზე შესრულებული გრავიურა; 25. შენობის ინტერიერის მხატვრული კონსტრუირება; 26. ზღვისპირა კურორტი საქართველოში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*


ლურჯი წითელი ყვითელი შავი